# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 16 აპრილი 2005 №84 (2407) ფასი 50 თეთრი



## თამაში უზურთოდ

ცხადაქის დინამოური მიმართულება

4



## ტიტო აბიჯანიდან

დიდიე დროგბა ბავშვობაში მცველი იყო

8

## კლასიკური უქმეები

ევროპის ჩემპიონატს ისევ ვარნა უმასპინძლებს

15

# გუცაევმა მსაჯები ჩაიჯიბა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო ვნებათაღელვა ერთი დღით გაიწელება. ფედერაციის ყრილობა 10 ივნისის ნაცვლად 11 ივნისს გაიმართება, რისი მიზეზიც უეფას იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის იოზეფ მიფსუდის სტუმრობაა. ჰოდა, იყოს 11-ში, ერთი დღე გინდ იქით ყოფილა, გინდ აქეთ...

ამასობაში, პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა ვლადიმერ გუცაევმა ერთი ხმა უკვე გაინაღდა, რადგან მსაჯთა და ინსპექტორთა ასოციაციამ ღიად განაცხადა, რომ მას უჭერს მხარს.

ცუდი ამბავი მერაბ ჟორდანიასთვის: საოლქო სასამართლომ ფედერაციის ექსპრეზიდენტის მხარის სარჩელი არ დააკმაყოფილა და ჟორდანია სამთვიან წინასწარ პატიმრობაში დატოვა.



# 6 მატჩი, 300 000 ფრანკი და 0:3



ვერდიქტი გამოტანილია: უეფას სადისციპლინო კომიტეტმა მილანის „ინტერი" სტადიონის ექვსთამაშიანი დისკვალიფიკაციით და 300 000 შვეიცარიული ფრანკით დააჯარიმა.

მიზეზი: ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის საპასუხო შეხვედრაში „ინტერის" ქომაგებმა მოედანზე ბოთლები და მაშხალები დაყარეს, რამაც თამაშის გაგრძელება შეუძლებელი გახადა.

მოგეხსენებათ, ეს გახლდათ მილანური დერბი, რომლის ანგარიშადაც უეფამ ეგრეთწოდებული ტექნიკური შედეგი, „მილანის" სასარგებლო 3:0 დაადგინა.

მე-8 გვერდი

# საარჩევნო ჭორ-მართალი

ყველა გზას პრეზიდენტისკენ მივყავართ... ანუ ფეხბურთის ფედერაციის ახალი ხელმძღვანელი გახდება ის, ვისაც მიხეილ სააკაშვილი ისურვებს და მხარს დაუჭერს — ასეთია აზრი, რომელსაც ხშირად გაიგონებთ ყველგან, სადაც ამ თემაზე ლაპარაკობენ.

თქვენ წინაშე წარმოდგენილი სქემაც გავრცელებული ვერსიების მიხედვით გახლავთ შედგენილი და სულაც არ აქვს ჭეშმარიტების პრეტენზია. თუმცა ნურც იმას გამორიცხავთ, რომ მასში ბევრი რამ მართალი იყოს. თავისთავად საინტერესოა ისიც, რომ სქემაში „ჩასმული" ოთხეულიდან ორს ფედერაციის პრეზიდენტობის სურვილი ოფიციალურად ჯერ არც გამოუთქვამს, მაგრამ ხალხი მათაც ჯიუტად ასახელებს ყველაზე რეალურ კანდიდატებად.




### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
XXIX ტური
ერფურტი 3:3 კოტბუსი
ესენი 2:2 ობერჰაუზენი
ფიურტი 0:1 დინამო
ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XXXI ტური
ზანკტ პაული 1:1 ლიუბეკი
უნიონი 1:2 დიუსელდორფი
ოსნაბრიუკი 2:1 ვერდერი (მ)
სამხრეთ რეგიონალლიგა
XXIX ტური
რეგენსბურგი 1:1 ჰოფენჰაიმი

### ინგლისი

ჩემპიონატი
XLIII ტური
შეფილდი 0:1 დერბი
პირველი ლიგა. XLIII ტური
ჰარტლპული 3:0 უენსდი
მეორე ლიგა. XLIII ტური
სუონსი 1:0 ოქსფორდი
საუთენდი 0:1 ლეიტონი

### ბელგია

იუპილერლიგა
XXIX ტური
ვესტერლო 1:3 ბრიუგე

### ჰოლანდია

პირველი დივიზიონი
XXIX ტური
როდა 3:2 უტრეხტი
მეორე დივიზიონი
XXX ტური
ვეენდამი 1:2 ტელსტარი
ეინდჰოვენი 0:6 ჰერაკლესი
ჰაარლემი 1:1 დორდრეხტი
მაასტრიხტი 0:0 ჰელმონდი
სპარტა 3:1 აპელდორნი
ოსი 2:4 ექსელსიორი
ვოლენდამი 1:1 ემენი
ვენლო 2:0 სიტარდი

### პორტუგალია

სუპერლიგა. XXIX ტური
ბეირა მარი — ბოავიშტა გვიან დამთავრდა

### ფინეთი

თასის პირველი ეტაპი
ჰაკა — ლაჰტი გადაიდო

### ირლანდია

პრემიერლიგა. V ტური
ბოჰემიანსი 0:2 კორკ სიტი
დროჰედა 2:1 შემროკი
დუბლინი 1:0 უოტერფორდი
შელბურნი 3:1 სენტ პატრიკსი

### ავსტრია

პირველი დივიზიონი
XXVIII ტური
ალტახი 1:1 უნტერზიბენბრიუნი
კაპფენბერგი 1:1 გრატკორნი
კერნტენი 1:0 აუსტრია (ლ)
ლინცერი 2:2 რიდი
ვიორგლი 1:2 ლეობენი

### საფრანგეთი

მეორე დივიზიონი
XXXIII ტური
ამიენი 2:1 ლავალი
ბრესტი 1:1 მონპელიე
კლერმონი 2:0 ნიორი
კრეტეი 1:1 გენგამი
გრენობლი 1:3 დიჟონი
გენიონი 1:0 ანჟე
რეიმსი 0:4 ნანსი
სედანი 2:1 შატორუ
ლე მანი 3:1 ლორიანი

### იტალია

სერია B. XXXIII ტური
კატანია 1:1 პიაჩენცა
ემპოლი 2:1 პესკარა

### თურქეთი

სუპერლიგა. XXIX ტური
დიარბაქირი 0:1 ტრაბზონი

## ყრილობა ერთი დღით დააგვიანებს



**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა 10 ივნისის ნაცვლად 11 ივნისს გაიმართება და, შესაბამისად, ამ დღეს შევიტყობთ ფედერაციის ახალი პრეზიდენტის ვინაობას.

საქმე ისაა, რომ იმ დღეებში უეფასა და ფიფას აღმასკომების წევრი, უეფას იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე, მალტელი იოზეფ მიფსუდი ჩამოდის.

როგორც სფფ-ის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ გვითხრა, იგი ფედერაციის აღმასკომის წევრებს მოეთათბირა და ყრილობის ერთი დღით გადატანაზე პრობლემა არ შექმნია.

**ლუკა თალაკვაძე**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80



# აი, ამბავი: ბრაზილიამ საქართველო მიიპატიჟა

**მსოფლიოს** ხუთგზის ჩემპიონმა ბრაზილიამ საქართველოს ნაკრები 27 აპრილს ამხანაგური მატჩის სათამაშოდ დაპატიჟა.

საქმე ისაა, რომ 27 აპრილს ბრაზილიის ტელეცენტრის 40 წლისთავია და ამ თარიღის აღსანიშნად ბრაზილიელებს ამხანაგური მატჩის გამართვაც მოუწადინებიათ.

პენტაკამპეონებს მეტოქედ ეკვადორელები ჰყავდათ შეგულებული, მაგრამ ამათ მიზეზთა გამო თამაში იუარეს, თანაც ეს ორიოდ დღის წინ განაცხადეს, რითაც ბრაზილიელებს, ბუნებრივია, პრობლემები შეუქმნეს.

ბრაზილიელთა ევროპაში მოსაქმე მენეჯერიც დაფაცურდა და თავისი ქვეყნისთვის ახალი მეტოქე გამოძებნა — საქართველო.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ოკეანის გაღმა პასუხი უკვე გააგზავნა, თანახმა ვართო, თუმცა... ბრაზილია — საქართველო შედგება თუ არა, საბოლოოდ დღეს-ხვალ გაირკვევა. სამწუხაროდ, ჩვენები ბრაზილიის ვიზების მიღებას ვერ ასწრებენ. თუ ვიზების საქმე მოგვარდა, მაშინ მატჩიც უეჭველად ჩატარდება.

**კოგა ინასარიძე**

# სამ თვეს დღე არ მოაკლდება

## სასამართლომ ჟორდანია არ დააკმაყოფილა

**გუშინ** თბილისის საოლქო სასამართლომ მერაბ ჟორდანიას მხარის სარჩელი არ დააკმაყოფილა და სფფ-ის ყოფილი პრეზიდენტი ისევე წინასწარ სამთვიან პატიმრობაში დატოვა. ჟორდანიას ადვოკატმა შალვა შავგულიძემ სასამართლოში წარადგინა ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის შუამდგომლობა ჟორდანიას თავდებით გათავისუფლების თაობაზე, მაგრამ...

სასამართლომ დაახლოებით ნახევარი საათი დაუთმო შავგულიძის განცხადებას, მაგრამ სარჩელის მოტივი არასაკმარისად მიიჩნია და, ცხადია, მერაბ ჟორდანია ფეხბურთის ფედერაციის ყრილობის ამბებს საპატიმროში შეიტყობს.

**ლუკა თალაკვაძე**



# ფედერაცია გადააგდეს

## ფერო ფულს არ იხდის

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მოვალეებიც ჰყოლია და დაახლოებით 400 ათასი ლარი აქვს მისაღები.*

*სპონსორული კონტრაქტის შესაბამისად, ფედერაციას სააქციო საზოგადოება „ფეროდან“ 150 ათასი დოლარი ერგება, რაგბის კავშირიდან 22 ათასი ლარი, ხოლო ტელეკომპანია „სპორტ+“-გან 50 ათასი დოლარი. ეს ტელეკომპანია თბილისში რამდენიმე წლის წინ დარეგისტრირდა, თუმცა ისე დაიხურა, მაუწყებლობა ვერ შეძლო, ფედერაციიდან კი ფული აიღო.*

*ეს ამბები გუშინ ფედერაციის გენმდივანმა ვალერი ჩოლარიამ გვითხრა, ვინც სხვადასხვა ქართულ თუ უცხოურ ფირმებთან ფედერაციის გაფორმებულ კონტრაქტებზე სასაუბროდ მივიწვია. ჩოლარიამ თქვა „პუმასთან“ ხელშეკრულებაზეც და ისიც ახსენა, რომ მის წინამორბედს ანდრო აბაშიძეს სამთვიანი გენმდივნობის პერიოდში „პუმას“ ეკიპირების ექვსი კომპლექტი მიუთვისებია.*

*ჩოლარიამ უეფასა და ფიფას დახმარების პროგრამებზეც ჩამოაგდო სიტყვა და ფედერაციის ერთ-ერთი სპონსორ „ყაზბეგსაც“ მადლობა უთხრა.*

*ზემოთქმული მოვალეების ამბავს კი ფედერაციის ამ მიმართვიდანაც შეიტყობთ...*

### მიმართვა

**ს.ს. გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის (ფერო), ტელეკომპანია „სპორტ+“-ის და საქართველოს რაგბის ფედერაციის ხელმძღვანელობისადმი**

სფფ-ს თავისი საქმიანობის სხვადასხვა ეტაპზე უხდებოდა და უხდება ურთიერთობა იმ ორგანიზაციებთან, რომელთაც თქვენ ხელმძღვანელობთ. ჩვენი ურთიერთობები გაფორმებულია შესაბამისი კონტრაქტებით, რომლითაც რეგულირდება მხარეებს შორის თავიანთი ვალდებულებების პირობები და შესრულების გრაფიკი.

სფფ ოფიციალურად აცხადებს, რომ იგი თქვენს მიმართ აღებულ ყველა ვალდებულებას ასრულებს ხარისხიანად და დროში. რაც შეეხება თქვენს ვალდებულებებს, ისინი სრულად ან ნაწილობრივ სრულდებოდა მხოლოდ 2004 წელს.

სფფ-ს კონტრაქტები მესამე მხარეებთან დაფუძნებულია [illegible] თქვენთან ხელმოწერილ შეთანხმებებთან. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში თქვენს მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობამ სფფ ჩააყენა უაღრესად მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში.

1. „ფერომ“ სფფ-ს გადაუხადა 2004 წლის მთლიანი თანხის 50%, ხოლო 2005 წელს არ გადაუხდია არც ერთი ლარი.

2. საქართველოს რაგბის ფედერაციამ სფფ-ს გადაუხადა დავალიანების მთლიანი თანხის 23,7% დღევანდლამდე გადაუხდელია 76,3%.

3. ტელეკომპანია „სპორტ+“-მა თავის წერილში დაადასტურა დავალიანება და თანხის გადახდა უძრავი ქონების გაყიდვის შემდეგ, მაგრამ ეს პროცესი ჭიანურდება. საქმე ეხება 100%-იან ვალს.

პატივცემულო ბატონებო! სფფ გამოთქვამს იმედს, რომ 2005 წლის 10 მაისამდე თქვენი დავალიანება ფეხბურთის ფედერაციისადმი დაფარული იქნება მთლიანად და ჩვენ შევძლებთ დავაფინანსოთ ეროვნული ნაკრებები საერთაშორისო ტურნირებში, რომელთაგან პირველი არის ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ალბანეთში (3-4 ივნისი).

ვიმედოვნებთ საკითხის მოგვარებას, წინააღმდეგ შემთხვევაში სფფ-ს სასამართლოში მიმართვის გარდა სხვა გზა არ რჩება.

*პატივისცემით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია*

# თქვენი ინტერვიუ

# კახა კალაძესთან

**«მილანი» მილანი, იტალია**

*რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძეა. კითხვები 25 აპრილის ჩათვლით უნდა მოგვაწოდოთ და კახასთან ინტერვიუ არაუგვიანეს 1 მაისამდე გამოქვეყნდება.*

*ერთი სიტყვით, იაქტიურეთ, თქვენ კახა კალაძე გპასუხობთ...*

მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: **Starmail@Caucasus.net**





გოგი ცოცონაშვილის ფოტო

# ერთი ხმა უკვე ჯიბეშია

## გუცაევი მსაჯებმა განსაჯეს

**გუშინ** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატი, პარლამენტარი ვლადიმერ გუცაევი მსაჯთა და ინსპექტორთა ასოციაციის წევრებს შეხვდა და, შეიძლება ითქვას, საარჩევნო კამპანიაც უკვე დაიწყო.

შეხვედრა საქართველოს ნაკრების ბაზაზე შედგა და საკმაოდ ხალხმრავალი გამოდგა. ბაზაზე გუცაევს ასოციაციის ხელმძღვანელები, მსაჯები, ინსპექტორები, მსაჯთა აკადემიის კურსანტები და ვეტერანი ფეხბურთელები დახვდნენ, რომელთაც საარჩევნო პროგრამის გაცნობის შემდეგ კითხვების დასმის საშუალებაც მიეცათ.

ვლადიმერ გუცაევმა რამდენიმე საკითხზე გაამახვილა ყურადღება და ისიც თქვა, დაახლოებით ათ დღეში პროგრამას პრესაში გამოვაქვეყნებო.

— პროგრამის ძირითადი პუნქტები იმ საკითხებს მოიცავს, რაც დღევანდელ ქართულ ფეხბურთში ძალიან პრობლემატურია: ბავშვთა ფეხბურთი, საქართველოს ჩემპიონატი, მსაჯთა და გულშემატკივართა უსაფრთხოება, ნაკრები, სპონსორების მოზიდვა და მთავრობასთან აქტიური თანამშრომლობა. ზოგადად ასეც შეიძლება ჩემი პროგრამის ჩამოყალიბება — განაცხადა ვლადიმერ გუცაევმა, რომელმაც ისიც თქვა, მთავრობასთან კონკრეტული საუბარი ჯერ არ მქონია, მაგრამ ამას უახლოეს მომავალში მოვახერხებ, იმას კი გეტყვით, რომ ხელისუფლებას თავისი ფავორიტი კანდიდატი ჯერჯერობით არ ჰყავსო.

— საქართველოს ჩემპიონატი თბილისის პირველობას არ უნდა დაემსგავსოს. თუ პრეზიდენტი გავხდი, ყველანაირად ვეცდები, გუნდების რაოდენობა 14-მდე მაინც გავზარდო. უნდა შემცირდეს გუნდების მიერ ფედერაციაში შესატანი გადასახადიც — ამბობს გუცაევი.

შეხვედრაზე ალენ ჟირესის გვარმაც გაიჟღერა. გუცაევმა ნაკრების მწვრთნელზე თქვა:

— ჟირესის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. უბრალოდ, ფაქტია, ამხელა ხელფასი აქვს მწვრთნელს, ვისი გუნდიც შესარჩევ ციკლში მეექვსე ადგილზეა. ეს არის და ეს. პრეზიდენტი თუ გავხდი, ჟირესს აუცილებლად შევხვდები და ვფიქრობ, გარკვეულ საკითხებზე შეთანხმება არ გაგვიჭირდება.

ახლა კი მთავარი: მსაჯთა და ინსპექტორთა ასოციაციის გადაწყვეტილებით, საპრეზიდენტო არჩევნებზე მხარს ვლადიმერ გუცაევს დაუჭერენ. ეს ამბავი უკვე ბეჭედდასმულია და სასწაული თუ არ მოხდა, გუცაევს ერთი გარანტირებული ხმა ჯიბეში აქვს. გამოვლინდა ყრილობაზე დამსწრე სამი დელეგატის ვინაობაც — ანატოლი მილჩენკო (ხმის მიცემის უფლებით), ოთარ გუნთაძე და აჟთანდილ შალამბერიძე.

**კახა შალამბერიძე**

# თამაში უბურთოდ

## ცხადაძის დინამოური მიმართულება

**ახალი მწვრთნელის, კახა ცხადაძის ხელმძღვანელობით თბილისის „დინამომ" უკვე ორი მატჩი ითამაშა და ეროვნულ ჩემპიონატში ლიდერობა დაიბრუნა — ეს ჯერ ბევრს არაფერს ნიშნავს, მთავარი და საინტერესო ცხადაძის „დინამოს" აწი ელის. დინამოელთა 36 წლის მწვრთნელი დინამოური ამბების გარდა ისეთ აქტუალურ თემაზეც საუბრობს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები რომ ჰქვია...**

„მსურს, შევუერთდე იმ ხალხს, ქვეყნის ხელისუფლებას რომ მიმართა მერაბ ჟორდანიას თავდებით გათავისუფლების თხოვნით, სანამ გამოძიება არ დასრულდება. ჟორდანია საზოგადოებისთვის საშიში არ არის და მისი საპყრობილეში ყოფნის აუცილებლობაც არ არსებობს" — განაცხადა ცხადაძემ და მერე თავისი გუნდის სვეზეც გვესაუბრა.

შარშან, გია გეგუჩაძის მწვრთნელობისას, „დინამო" უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გავიდა, ასეთი გრძელი ევროფრონტი დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში „დინამოს" მანამდე არ ჰქონია. მალე ცხადაძის „დინამოს" ჯერიც დადგება და მიღწეულის შენარჩუნება ხანდახან უფრო ძნელია, ვიდრე რაღაცის მიღწევა. შესწევდება კი ცხადაძის ცოდნა და გამოცდილება ყველაფერ ამას?

„დიდი სამწვრთნელო პრაქტიკა და გამოცდილება არ გამაჩნია, ცოდნა კი, ვფიქრობ, საკმარისი მაქვს, რასაც გაღრმავება აუცილებლად სჭირდება. სეზონის დამთავრებამდე თვენახევარი რჩება და ჩვენი მიზანი ჩემპიონობაა, ევროტურნირზე კი ახალი ფეხბურთელების დამატების გარეშე შარშანდელი შედეგის მიღწევა შეუძლებელია" — გვითხრა „დინამოს" თავკაცმა, ვისაც შევახსენეთ, რომ გუნდმა მეორე ეტაპის დაწყების წინ ათი ფეხბურთელი შეიმატა — „დინამომ" ზამთარში ფეხბურთელები კი დაიმატა, მაგრამ გუნდიდან რამდენიმე წამყვანი მოთამაშეც წავიდა — დავით კვირკველია, ჯაბა კანკავა, ლადო ახალაია, ლაშა სალუქვაძე და „დინამოში" ახლა უწინდელი კონკურენცია აღარ არის, თორემ ახალგაზრდა ფეხბურთელები ბლომად გვყავს".

მეორე ეტაპის წინ „დინამომ" „თბილისიდან" სხვათა გარდა 21 წლის მეკარე ბექა შეყრილაძეც აიყვანა, ვინც „თბილისში" მძაფრ კონკურენციას უწევდა ისეთ სახელიან მეკარეს, როგორიც აკაკი დევაძეა, მაგრამ შეყრილაძე „დინამოს" მეორე გუნდში გადაიყვანა ცხადაძის წინამორბედმა გეგუჩაძემ.

„მეკარის პრობლემა მხოლოდ „დინამოს" კი არა, მთელ საქართველოს აწუხებს. დღესდღეობით „დინამოს" პირველი მეკარე ირაკლი ზოიძეა. ამ ეტაპზე ჩვენ მას ვეყრდნობით და გვსურს, რომ ზოიძემ „დინამოსთან" კონტრაქტი გააგრძელოს. რაც შეეხება ბრაზილიელ კუნეგატოს, მისი საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. მალე გაირკვევა, „დინამოში" ვინ დარჩება და ვინ არა" — გვამცნო ცხადაძემ.

კლუბის სელექცია მხოლოდ მეკარეებით არ ამოიწურება. „დინამოს" რამდენიმე მოთამაშე ჰყავს განათხოვრებული სხვადასხვა ქართულ გუნდში და ცხადაძეს მათი „დინამოში" დაბრუნების პერსპექტივაზეც ვკითხეთ.



გოგი ცოცონაშვილის ფოტო

„განათხოვრებულთაგან დავით გიგაური და სანდრო იაშვილი თავიანთ გუნდებში სტაბილურად და წარმატებულად თამაშობენ. ამიტომ მათ სერიოზულად დაველაპარაკებით, საინტერესოა თვითონ ამ ფეხბურთელების აზრიც" — განგვიმარტა „დინამოს" დამრიგებელმა.

მაგრამ გასწვდებიან კი ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელები ევროსარბიელს? „ჯერ არ ვიცით, თუ რა კონტინგენტით მოგვიწევს გაძლიერება ევროტურნირისთვის, რადგან ჯერ უცნობია, თუ რა ბიუჯეტი ექნება გუნდს მომავალი სეზონისთვის" — გვითხრა ცხადაძემ და იმაზეც გველაპარაკა, თუ როგორი იქნება „დინამო" მის ხელში — „დიდ ყურადღებას ვუთმობ პოზიციურ, უბურთოდ თამაშს, რაც ძალიან პრობლემატურია ქართული გუნდებისთვის. „დინამომ" შემტევი ფეხბურთი უნდა ითამაშოს და გუნდის ძალას ინდივიდუალურად ძლიერი ფეხბურთელები უნდა განაპირობებდნენ. დიდ ყურადღებას დავუთმობთ მოედანზე სამოძრაო სივრცის არჩევასაც, რაც ტაქტიკური მომზადების თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია და პოზიციური თამაშის ერთ-ერთი ელემენტიცაა".

ბოლო წლებში „დინამომ" რამდენჯერმე შეიცვალა სათამაშო სტილი თუ ხელწერა და ცხადაძეს ისიც ვკითხე, თუ როგორ შეადარებდა ერთმანეთს ივო შუშაკის და გეგუჩაძის „დინამოს". ცხადაძის პასუხი ასეთი გახლდათ: „ასეთი შედარება ჩემთვის პრიორიტეტული საკითხი არ არის. დიდ გუნდებში ტაქტიკა და სტილის მიმართულება არ იცვლება, იცვლებიან ფეხბურთელები და მიმაჩნია, რომ ყოველ თამაშზე რაღაც ახლის მოგონება სწორი არ იქნება. მიმართულება კი უკვე არჩეული გვაქვს და კონკრეტული სიახლეებიც უკვე დავნერგეთ — ძირითადში ვათამაშებთ დვალიშვილს და მას გოლები გააქვს, ხოლო შოთა კაშიას ამპლუა შევუცვალეთ და ცენტრალურ მცველად გავამწესეთ".

„დინამოში" გამწვრთნელებამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე ცხადაძე საქართველოს 19-წლამდელთა დამრიგებლად დაინიშნა, მაგრამ „დინამოში" მისვლის შემდეგ ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა ცხადაძე ნაკრების მწვრთნელობიდან გაათავისუფლა.

„სამწუხაროა, რომ ფედერაციამ გადაწყვეტილება ჩემთან კონსულტაციის გარეშე მიიღო. მიმაჩნია, კლუბში და ნაკრებში მუშაობის შეთავსება შესაძლებელი იყო, თანაც 19-წლამდელთა ნაკრების პერსპექტივას უკვე ვხედავდი და ამ მხრივ გარკვეული სამუშაოც მქონდა ჩატარებული" — ასეთია ცხადაძის განწყობა და აზრი.

ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში კი ერთი ხმა „დინამოსაც" ერგება და ცხადაძეს ამაზეც ჩამოვუგდეთ სიტყვა — ნაკრების ექსკაპიტნის და „დინამოს" დამრიგებლის აზრს პატარა ფასი ნამდვილად არ აქვს.

„კლუბის ხელმძღვანელობას ალბათ ჩემთანაც ექნება კონსულტაციები, თუ ვის უნდა დაუჭიროს „დინამომ" მხარი ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში. დროა, ფედერაციის პრეზიდენტად ჩვენი თაობის ის ფეხბურთელი მოვიდეს, ვისაც ევროპული სკოლა გაუვლია, სუფთა ადამიანია და არანაირ დინებებზე არაა დამოკიდებული. მხარს ვუჭერ გიორგი ნემსაძეს, რევაზ არველაძეს კი, სამწუხაროდ, ჯერ არ წამოუყენებია თავისი კანდიდატურა. გადაწყვეტილება საერთო საქმის სასიკეთოდ უნდა მივიღოთ" — ასეთია ცხადაძის პოზიცია.

**დავით თამართქილაძე**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVI ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე ეტაპი

## 28 ტური ანონსი

მცხეთა. 17 აპრილი. 16 საათი. არმაზი

### ვიტ ჯორჯია — კოლხეთი

მსაჯები: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. ურუშაძე (თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ა. მეშკოვი (თბილისი); ინსპექტორი: ა. დურსუნიში

ბათუმი. 17 აპრილი. 16 საათი. დინამო

### ბათუმი — დილა

მსაჯები: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ი. აფციაური (დუშეთი), ნ. რუსიშვილი; გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი); ინსპექტორი: გ. სორდია

თბილისი. 17 აპრილი. 16 საათი. ოლიმპი

### თბილისი — ზესტაფონი

მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ა. სამხარაძე (სოხუმი); ლ. სილაგავა (თბილისი); ინსპექტორი: მ. ჭელიძე

ბოლნისი. 17 აპრილი. 16 საათი. თამაზ სტეფანია

### სიონი — დინამო

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. ჯვარიძე, მ. ელიკაშვილი; ა. შილაკაძე (სამივე თბილისი); ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

თბილისი. 17 აპრილი. 16 საათი. მიხეილ მესხი

### ლოკომოტივი — ტორპედო

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); ა. ორდინიძე (ონი); ინსპექტორი: ე. სილაგავა



„ლოკომოტივის" მეკარე ზვიად სტურუა ყოფილ თანაგუნდელებს დაუპირისპირდება

# ორი ისე რა და სამი ნაღდი

## სიონი და ახალი დინამოური სიო

*ჩვენ რომ გვკითხოთ, დაძაბულობა და ცხრილში სიმჭიდროვე ჩემპიონატის დონეს არ განსაზღვრავს. ასე თუ ავიღებთ, საქართველოს ჩემპიონატი საფრანგეთისას და ჰოლანდიისას ალემატება, სადაც „ლიონისა" და „ეინდჰოვენის" პირველობა უკვე თითქმის ბეჭედდასმულია. კიდევ კარგი, ეს დაძაბულობა მაინც არის, ყოველ ტურს ახალ-ახალი ინტრიგები მოსდევს და ამ მხრივ არც ხვალ გასამართი მატჩები უნდა იყოს გამონაკლისი. ჩემპიონატის სამი მეოთხედი გაილია და კვირას, ასე ვთქვათ, ბოლო რაუნდი იწყება. მოდით, ჯერ ნაკლებ საინტერესო მატჩებით დავიწყოთ...*

ასეთი ორია: პირველი ბათუმშია, სადაც მასპინძლები ლატაკ „დილას", ალბათ, უპრობლემოდ მოუგებენ. მართალია, ფული არც „ბათუმს" გადასდის თავზე და ეს კი არა, ჩემპიონატის ჩამთავრებაც პრობლემად გახდომია, მაგრამ გორელებთან შედარებით ზღვისპირელებს რა უჭირთ. თანაც ქართლელებს ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა, თავდამსხმელი საბა სულთანიშვილი დისკვალიფიცირებული ჰყავთ. მოკლედ, არა გვგონია, ნუკრი გოგიტიძის გუნდმა სამი ქულა შავ ზღვაში მოისროლოს.

მეორე უინტრიგო მატჩი მცხეთაშია და „ვიტ ჯორჯია" შეიდმატჩიან მოუგებელ სერიას დაასრულებს. რატომ ასე თამამად? მეტოქე „კოლხეთს" ერთადერთი მცვარველი, ფოთის პორტი ველარ აფინანსებს, რის გამოც სერგო გაბელაია საქართველოს ძველ დედაქალაქში შესუსტებულ შემადგენლობას ჩაიყვანს. ვეჭვობთ, ჯანი კარნევალის ვიტელებს ეს სამი ქულა რამეში წაადგეთ, ფოთელები კი გავარდნაარგავარდნის ზღვარზე დგანან.

კახა ცხადაძე ცოტა ხნის წინ ბოლნისის „სიონის" მწვრთნელ-კონსულტანტად მუშაობდა, ხვალ კი ამ ქალაქს მეტოქედ ესტუმრება. ცხადაძიანი „დინამო" ჯერჯერობით ქულადაუკარგავად თამაშობს, მაგრამ ბოლნისში ფრთხილად უნდა იყოს და განსაკუთრებით გრიგოლ დოლიძეზე უნდა ეჭიროს თვალი. მასპინძელთა დაცვა კი, ჩემპიონატის მთავარმეგოლე ლევან მელქაძესა და უწვერულ ვლადიმერ დვალიშვილს თუ არ ათარეშებს, ვინ იცის, სენსაციასაც ეწიოს. „სიონი" ჯერ ბოლოსწინა ადგილზეა, მაგრამ კონკურენტები — „კოლხეთი" და „ბათუმი" გაულარიბდნენ, რაც მერაბ კოჭლაშვილის ბიჭების წისქვილზე ასხამს წყალს.

ისანში „თბილისი" — „ზესტაფონია", ორივე გუნდი (მით უმეტეს, იმერლები) თავზე აყრის [illegible] და, მოგეხსენებათ, ნახევარფინალში ტოთურიას მეტოქეები არიან. თბილისელებმა პირველი საათი თასში თემური მახარაძის გუნდს [illegible] ახსნეს და ამ მატჩის [illegible] დვით თუ ვიმსჯელებთ, ხვალაც ძალიან გაუჭირდებათ. თანაც, შესაძლოა, [illegible] ტრავმის გამო მოისვენებს, „ზესტაფონს" კი დისკვალიფიცირებული ზურაბ იონანიძე [illegible] მეორე მხრივ, [illegible] გამო არ იყვნენ და [illegible]...

ტურის მთავარი მატჩი მაინც „მიხეილ მესხზე" გაიმართება. ვინ იფიქრებდა, რომ „ლოკომოტივი" [illegible] სამეულს [illegible], მაგრამ ნოდარ აკობიას [illegible] „ტორპედოს" და [illegible] რეინჯერებს [illegible] მეგრელაძის [illegible] ბოლოჯერ გაიქვს გოლი „ლოკოს" მესამე წრეში ქუთაისიდან ქულა წაიღეთ და ისიც გეხსომებათ, „ტორპედოს" პირველი მარცხი სწორედ მან აგემა, ახლა კი აქეთ რეინჯერებს არ წაუგიათ ზედიზედ 11 შეხვედრა და...

ამ მატჩს გარკვეული ინტრიგა ზვიად სტურუას სახითაც ახლავს — ექსქუთაისელი მეგრელაძისა და კომპანიის შეტევების ბოლო ზღუდე იქნება.

**ილია ნანობაშვილი**



თენგიზ ჩიქვილაძე და „ზესტაფონი" „თბილისს" კარგ ხასიათზე ესტუმრებიან

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 27 | 17 | 4 | 6 | 58:24 | 55 |
| თბილისი | 27 | 15 | 6 | 6 | 48:29 | 51 |
| ტორპედო | 27 | 14 | 9 | 4 | 43:23 | 51 |
| ლოკომოტივი | 27 | 12 | 11 | 4 | 34:19 | 47 |
| ზესტაფონი | 27 | 12 | 4 | 11 | 27:39 | 40 |
| ვიტ ჯორჯია | 27 | 10 | 8 | 9 | 39:32 | 38 |
| ბათუმი | 27 | 7 | 10 | 10 | 28:24 | 31 |
| კოლხეთი | 27 | 7 | 5 | 15 | 25:38 | 26 |
| სიონი | 27 | 7 | 4 | 16 | 24:49 | 25 |
| დილა | 27 | 2 | 3 | 22 | 16:65 | 9 |

# იტალია

გიორგი კაკაბაძე





ფაბიო კაპელოს და ზლატან იბრაჰიმოვიჩის სერია A შერჩით

## ახლა კი ფავორიტი იუვენტუსია

### ანჩელოტის ქალბატონი უნდოდა

| XXXI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| მესინა | : | უდინეზე |
| რომა | : | რეჯინა |
| სამპდორია | : | პალერმო |
| **ხვალ** | | |
| ბრეშა | : | ატალანტა |
| ინტერი | : | კალიარი |
| ლივორნო | : | ფიორენტინა |
| ბოლონია | : | ლაციო |
| იუვენტუსი | : | ლეჩე |
| სიენა | : | მილანი |
| კიევო | : | პარმა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 30 | 20 | 7 | 3 | 50:18 | 67 |
| იუვენტუსი | 30 | 20 | 7 | 3 | 50:19 | 67 |
| ინტერი | 30 | 12 | 17 | 1 | 54:35 | 53 |
| უდინეზე | 30 | 14 | 7 | 9 | 46:32 | 49 |
| სამპდორია | 30 | 14 | 6 | 10 | 32:23 | 48 |
| პალერმო | 30 | 12 | 11 | 7 | 36:30 | 47 |
| რომა | 30 | 10 | 9 | 11 | 49:48 | 39 |
| კალიარი | 30 | 10 | 9 | 11 | 44:48 | 39 |
| ბოლონია | 30 | 9 | 11 | 10 | 28:27 | 38 |
| ლეჩე | 30 | 9 | 10 | 11 | 51:53 | 37 |
| ლაციო | 30 | 10 | 7 | 13 | 38:40 | 37 |
| ლივორნო | 30 | 9 | 9 | 12 | 35:43 | 36 |
| მესინა | 30 | 9 | 9 | 12 | 33:42 | 36 |
| რეჯინა | 30 | 9 | 8 | 13 | 29:37 | 35 |
| პარმა | 30 | 8 | 9 | 13 | 36:49 | 33 |
| ფიორენტინა | 30 | 7 | 11 | 12 | 34:43 | 32 |
| კიევო | 30 | 8 | 7 | 15 | 24:43 | 31 |
| სიენა | 30 | 5 | 15 | 10 | 30:44 | 30 |
| ატალანტა | 30 | 6 | 9 | 15 | 29:38 | 27 |
| ბრეშა | 30 | 7 | 6 | 17 | 25:41 | 27 |

**ტურინის** „იუვენტუსის“ ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნა სკუდეტოსთვის ბრძოლაში გარკვეულ კორექტივებს უდავოდ შეიტანს. ახლა „ბებერი ქალბატონს“ ეროვნული ჩემპიონატის მოგების მეტი არაფერი დარჩენია და მთელ ძალებსაც სწორედ სერია A-ს შეალევს.

ეს „მილანის“ თავკაცმა კარლო ანჩელოტიმაც აღნიშნა: „სიმართლე გითხრათ, მირჩევნოდა, ნახევარფინალში „იუვე“ გასულიყო და არა „ლივერპული“. ახლა ტურინელები სერია A-ზე გადმოერთვებიან და უპირატესობაც ექნებათ. ჩვენ კი ძალიან დატვირთული კალენდარი გვაქვს და ორივე ფრონტზე ბრძოლა გვიწევს“.

დაახლოებით ანალოგიური შინაარსის განცხადებას აკეთებენ „იუვეს“ ხელმძღვანელები და ფეხბურთელები — ახლა ფავორიტები ჩვენ ვართ და სკუდეტოს მოგებას მთელი ძალით შევეცდებით, რათა სეზონი ბოლომდე არ ჩაგვივარდესო.

მაგრამ, მიუხედავად ასეთი განცხადებებისა, ტურინელებს ხვალ იოლი გასეირნება ნამდვილად არ ელით. ისინი ზდენეკ ზემანის „ლეჩეს“ უმასპინძლებენ. ჩეხი მწვრთნელისა და „იუვეს“ „ურთიერთსიმპათიაზე“ და დამოკიდებულებაზე კი თავადაც კარგად მოგვეხსენებით.

ორივე გუნდს სამ-სამი ფეხბურთელი აკლია: ფაბიო კაპელოს კვლავ არ ეყოლება ჯონათან ძებინა, დავიდ ტრეზეგე და ჩირო ფერარა, ხოლო „ლეჩე“ ბაბუს, ჯუზეპე აბრუცეზესა და ჯუზეპე კოზოლინის ვერ დაიხმარს.

რაც შეეხება „მილანს“, კარლო ანჩელოტის გუნდი სრული შემადგენლობით სტუმრობს „სიენას“. თავის მხრივ, დისკვალიფიცირებულ ბრუნო ჩირილოს თუ არ ჩავთვლით, დანაკლისი არც მასპინძლებს აქვთ.

რობერტო მანჩინისა და მის „ინტერს“ ისღა დარჩენიათ, მესამე ადგილი შეინარჩუნონ. ამ ამოცანის გაადვილებას „ნეროაძური“ „კალიარის“ დამარცხებით შეეცდება, მაგრამ ეს არც ისე მარტივი იქნება. გუნდს კვლავ ვერ დაეხმარებიან ალვარო რეკობა, ემრე, დეიან სტანკოვიჩი და სავარაუდოდ ადრიანოც. სტუმრებს კი ჯანფრანკო ძოლა, სიმონე ლორია, მარკო დელნევო და როკო საბატო არ ეყოლებათ.

საინტერესო მატჩებია შაბათსაც: გენუის „ლუიჯი ფერარიზე“ ერთმანეთს ჩემპიონთა ლიგის მეოთხე საგზურისთვის მებრძოლი „სამპდორია“ და „პალერმო“ შეებმებიან. ორივე გუნდი 3 ქულისთვის იბრძოლებს, რადგანაც ფრე ხელს არც ერთს არ აძლევს.

მასპინძლებს კრისტიან ძენონი ჰყავთ დისკვალიფიცირებული, ხოლო ჯულიო ფალკონეს ტრავმა აწუხებს. პალერმოელები კი თავიანთ კაპიტან ეუჯენიო კორინის მოისაკლისებენ.

ამჟამინდელი მეოთხეადგილოსანი „უდინეზე“ „მესინას“ შეებრძოლება და შეეცდება, სიცილიიდან ძალიან საჭირო სამ ქულით დაბრუნდეს.

ბოლოს, ორი სიტყვა „რომაზეც“ ვთქვათ: დედაქალაქელები უძლიერესი შემადგენლობით არიან და „რეჯინას“ დამარცხებას უპირებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბრუნო კონტის გუნდი ეგებ უეფას თასის საგზურის გარეშეც დარჩეს.

# ინგლისი

ვაჟა ხუციშვილი

## ასოციაციის თასი ნახევარფინალი

**დღეს**

არსენალი – ბლექბერნი

**ხვალ**

ნიუკასლი – მანჩესტერი

## საკადრო მატჩები

### ერთგვარი კომპენსაცია

**დღეს** და ხვალ კარდიფში, „მილენიუმზე“, ინგლისის ასოციაციის თასის ნახევარფინალები გაიმართება. შაბათს „არსენალი“ — „ბლექბერნი“, კვირას კი „ნიუკასლი“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“.

ოთხივე გუნდი ამ სეზონში ხელმოცარულია. „არსენალი“ პრემიერლიგაში „ჩელსის“ 11 ქულით ჩამორჩება და ჩემპიონობის შანსი თითქმის აღარა აქვს. „მეთოფეები“ ჩემპიონთა ლიგიდანაც გამოვარდნენ და ახლა მხოლოდ ასოციაციის თასს თუ შეჰყურებენ.



ლონდონის „არსენალს“ სოლ კემპბელი გამოუკეთდა

„ბლექბერნი“ სეზონის დასაწყისშივე ჯახირობდა და ცხრილის ბოლოში ბუდობდა, მაგრამ მწვრთნელად მარკ ჰიუზის მისვლის შემდეგ საქმეები გამოსწორდა და აგერ, ასოციაციის თასის ნახევარფინალშია გამძვრალი.

„არსენალი“ არსენ ვენგერის ხელქვეით ცხრა წლის განმავლობაში შვიდჯერ გავიდა ნახევარფინალში, ისე კი თასი ცხრაჯერ მოუგია. შარშანდელი პრემიერლიგა კი „არსენალმა“ ისე მოიგო, თამაში არ წაუგია.

ვენგერი ამბობს: „ასეთი გამარჯვების შემდეგ უკეთესს ვეღარაფერს მიაღწევ, მხოლოდ უარესია მოსალოდნელი. ახლა ისღა დაგვრჩენია, თასის ფინალში გავიდეთ და მოვიგოთ. ეს ჩაგდებული სეზონის ერთგვარი კომპენსაცია იქნება“.

„ბლექბერნი“ 1960 წლის მერე ასოციაციის თასის ნახევარფინალში პირველად გავიდა. მარკ ჰიუზისთვის სასიხარულო ისაა, რომ ნახევარმცველი რობი სევიჯი გამოუკეთდა და ძირითად შემადგენლობაში აუცილებლად იქნება.

რაც შეეხება „არსენალს“, მოსალოდნელია სოლ კემპბელის დაბრუნება, რომელსაც ტრავმის გამო პირველი თებერვლის შემდეგ აღარ უთამაშია. დაშავებულია ტიერი ანრიც, ფრანგი გუნდს ვერაფრით დაეხმარება. დამწუხრებულმა ვენგერმა კი თქვა, ჯერ არ გადამიწყვეტია, ვათამაშებ თუ არა კემპბელს, რადგან კოლო ტურე და ფილიპ სენდეროსის წყვილი დაცვაში კარგად ირჯებაო. ესპანელი ხოსე ანტონიო რეიესი და ბრაზილიელი ედუც მომჯობინდნენ და შესაძლოა, ორივე სასტარტოში აღმოჩნდეს.

„მანჩესტერ იუნაიტედს“ პრემიერლიგის მოგების იმედი გადაწურული აქვს. ალექს ფერგიუსონის თავკაცობით მანჩესტერელებმა ასოციაციის თასი ხუთჯერ მოიგეს, მთლიანობაში კი ეს ჯილდო 11-ჯერ დაისაკუთრეს, რაც ინგლისის რეკორდია. აღსანიშნავია ისიც, რომ ფერგიუსონის მწვრთნელობისას „მანჩესტერ იუნაიტედი“ ამ თასის ნახევარფინალში ექვსჯერ გავიდა და ექვსჯერვე იმარჯვა.

გასულ უქმეებზე, „ნორვიჩთან“ 0:2 მარცხის შემდეგ „მანჩესტერის“ კაპიტანი როი კინი გაცეცხლდა, თანაგუნდელებს უგულოდ თამაში დასწამა, ასი პროცენტით არ იხარჯებითო. გუნდისთვის კი ძალიან დიდი დანაკლისი იქნება ისიც, თუ ტრავმირებულმა რაიან გიგზმა გამოკეთება ვერ მოასწრო.

უეფას თასიდან გუშინწინ გავარდნილი „ნიუკასლი“ ასოციაციის თასზე მანჩესტერელებს აქამდე სამჯერ გადაეყარა და სამივე შეხვედრა წააგო. „კაჭკაჭებს“ კირონ დაიერი და ლი ბოიერი დისკვალიფიცირებული ჰყავთ, ტიტუს ბრამბლი კი ერთთვიანი მკურნალობის შემდეგ კვლავ ფორმაშია.

მწვრთნელმა გრემ სუნესმა თქვა, „სპორტინგთან“ დამარცხებულმა და ნამგზავრმა გუნდმა დასვენება და სათანადო მომზადება ვერ მოასწროო.

| XXXIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ჩარლტონი | : | ბოლტონი |
| კრ. პალასი | : | ნორვიჩი |
| ფულემი | : | სიტი |
| ლივერპული | : | ტოტენჰემი |
| საუთჰემპტონი | : | ასტონ ვილა |
| ბირმინგემი | : | პორტსმუთი |
| **გადაიდო** | | |
| არსენალი | : | ევერტონი |
| ვესტ ბრომვიჩი | : | ბლექბერნი |
| მანჩესტერი | : | ჩელსი |
| ნიუკასლი | : | მიდლსბრო |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 32 | 25 | 6 | 1 | 62:12 | 81 |
| არსენალი | 32 | 21 | 7 | 4 | 73:33 | 70 |
| მანჩესტერი | 32 | 19 | 10 | 3 | 48:19 | 67 |
| ევერტონი | 32 | 16 | 6 | 10 | 39:33 | 54 |
| ლივერპული | 32 | 15 | 5 | 12 | 44:32 | 50 |
| ბოლტონი | 32 | 14 | 7 | 11 | 41:36 | 49 |
| ტოტენჰემი | 32 | 13 | 7 | 12 | 39:35 | 46 |
| მიდლსბრო | 32 | 12 | 9 | 11 | 45:43 | 45 |
| ჩარლტონი | 32 | 12 | 8 | 12 | 39:48 | 44 |
| ასტონ ვილა | 32 | 11 | 9 | 12 | 38:40 | 42 |
| სიტი | 32 | 10 | 10 | 12 | 38:36 | 40 |
| ნიუკასლი | 31 | 9 | 11 | 11 | 41:49 | 38 |
| ბირმინგემი | 32 | 9 | 10 | 13 | 35:39 | 37 |
| ბლექბერნი | 32 | 8 | 12 | 12 | 28:37 | 36 |
| პორტსმუთი | 32 | 9 | 7 | 16 | 37:51 | 34 |
| ფულემი | 31 | 9 | 6 | 16 | 37:51 | 33 |
| ვესტ ბრომვიჩი | 32 | 5 | 13 | 14 | 31:52 | 28 |
| საუთჰემპტონი | 32 | 5 | 12 | 15 | 34:51 | 27 |
| კრ. პალასი | 32 | 6 | 8 | 18 | 33:54 | 26 |
| ნორვიჩი | 32 | 4 | 11 | 17 | 32:63 | 23 |

| XXIX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| გლადბახი | : | მაინცი |
| ჰანოვერი | : | ბაიერნი |
| დორტმუნდი | : | არმინია |
| ფრაიბურგი | : | ლევერკუზენი |
| ვერდერი | : | ჰერტა |
| შალკე | : | ჰამბურგი |
| ჰანზა | : | შტუტგარტი |
| **ხვალ** | | |
| ვოლფსბურგი | : | ნიურნბერგი |
| ლაუტერნი | : | ბოხუმი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 28 | 18 | 5 | 5 | 54:26 | 59 |
| შალკე | 28 | 18 | 2 | 8 | 45:33 | 56 |
| შტუტგარტი | 28 | 16 | 6 | 6 | 51:31 | 54 |
| ვერდერი | 28 | 15 | 5 | 8 | 58:31 | 50 |
| ჰერტა | 28 | 12 | 11 | 5 | 50:27 | 47 |
| ჰამბურგი | 28 | 14 | 2 | 12 | 49:45 | 44 |
| ლევერკუზენი | 28 | 12 | 7 | 9 | 47:36 | 43 |
| დორტმუნდი | 28 | 11 | 8 | 9 | 35:37 | 41 |
| ვოლფსბურგი | 28 | 13 | 1 | 14 | 43:44 | 40 |
| ლაუტერნი | 28 | 11 | 6 | 11 | 35:36 | 39 |
| ჰანოვერი | 28 | 11 | 5 | 12 | 31:31 | 38 |
| არმინია | 28 | 10 | 5 | 13 | 31:39 | 35 |
| ნიურნბერგი | 28 | 8 | 7 | 13 | 48:53 | 31 |
| მაინცი | 28 | 8 | 6 | 14 | 34:45 | 30 |
| გლადბახი | 28 | 7 | 8 | 13 | 31:45 | 29 |
| ბოხუმი | 28 | 6 | 8 | 14 | 38:56 | 26 |
| ჰანზა | 28 | 5 | 8 | 15 | 25:54 | 23 |
| ფრაიბურგი | 28 | 3 | 8 | 17 | 22:58 | 17 |

## გერმანია

*ვაჟა ხუციშვილი*

# ჰანოვერში ჩელსი გამეორდება
## მოსერის პირველი საშინაო





ფელიქს მაგათი და ოლივერ კანი „ბაიერნის" ამ გულდათუთქულ ქომაგს ბუნდესჩემპიონობით თუ გაახარებენ

**მიუნხენის** „ბაიერნი" ჰანოვერს ესტუმრება. „თუ ისე ვითამაშეთ, როგორც „ჩელსისთან", მოგება არ უნდა გაგვიჭირდეს — თქვა მიხაელ ბალაკმა — დარწმუნებული ვარ, ბუნდესლიგას მოვიგებთ, რაც ჩვენი მთავარი მიზანია ამ სეზონში".

„ჰანოვერის" ორი ფორვარდი, დანიელ შტენდელი და ველიკო პაუნოვიჩი ტრავმირებულნი არიან და ვერ ითამაშებენ.

რა თქმა უნდა, გელზენკირხენის „შალკეს" ჩემპიონობის შანსი საბოლოოდ ჯერ არ დაუკარგავს, მაგრამ დღეს მეტად რთული მატჩი ელის „ჰამბურგთან". „ხუმარებს" დისკვალიფიცირებული ლინკოლნი და მარსელო ბორდონი დააკლდებიან, ხოლო სტუმრებს მეგოლე სერგი ბარბარესი არ ეყოლებათ.

საჩემპიონო რბოლაში „შტუტგარტი" მას შემდეგ ჩაერთო, რაც წინა ტურში „შალკე" შინ 3:0 გაანადგურა. „შტუტგარტი" როსტოკში „ჰანზასთან" ჩავა, რომელმაც ერთი კვირის წინ „ნიურნბერგთან" წააგო 0:3 და როსტოკელები კვლავაც ცალი ფეხით მეორე ბუნდესლიგაში არიან. მათიას ზამერის გუნდმა კი ბოლო შვიდ ტურში ექვსი მატჩი მოიგო და ახლა ალმავლობის გზაზეა.

მაგარი ჯაჯგური იქნება მიონხენგლადბახში, სადაც იქაური „ბორუსია" ცხრილის მეზობელ „მაინცს" მიიღებს. ორივე გუნდი ბუნდესლიგაში დასარჩენად იბრძვის.

ჰოლანდიელ ბერტ ვან მარვიკს ნაშრომი მეორე წრეში დაუფასდა და საბოლოოდ დორტმუნდის „ბორუსია" თავისებურად ააწყო. „შავ-ყვითლებმა" წინა ტურში სტუმრად „ლევერკუზენს" სძლიეს, ახლა კი ბილეფილდის „არმინიას" დაუხვდებიან და თუ მოიგეს, სეზონის ბოლოს ევროთასის საგზურიც მოიპოვონ. დორტმუნდელებს კრისტოფ მეცელდერი დაუშავდათ და მისი თამაში საეჭვოა, ხოლო ტრავმირებული ლარს რიკენი ჯერაც მკურნალობს.

ბრემენის „ვერდერს" 26 თებერვლის შემდეგ შინ აღარ მოუგია და ნავსის გატეხვას „ჰერტასთან" შეეცდება, თუმცა ეს იოლი არ იქნება, რადგან ბერლინელები ახლა კარგ ფორმაში არიან. ჩინებულ საგოლე [illegible] მათი ბრაზილიელი მარსელინიო, რომელმაც „ფრაიბურგთან" ერთი კვირის წინ დუბლი შეასრულა.

„კაიზერსლაუტერნის ახალი მწვრთნელის, ჰანს ვერნერ მოსერის დებიუტი „არმინიასთან" სტუმრად გამარჯვებით დასრულდა, ამჯერად კი „ლაუტერნი" მოსერის თაოსნობით პირველ საშინაო შეხვედრას გამართავს — „ფრიც ვალტერ შტადიონზე" მისუსტებული „ბოხუმის" ძლევა მასპინძლებს საჭიროებით ხელეწიფებათ.

# ხვალ პირველი ფინალია
## მაქსის შანსი

## ესპანეთი

*ლადო ხომერიკი*



„ბარსელონას" მწვრთნელი ფრანკ რაიკარდი დისკვალიფიცირებულ კაპიტან კარლეს პუიოლს მოისაკლისებს

**მოგეხსენებათ,** მადრიდის „რეალს" ესპანეთის ჩემპიონობაზე მხოლოდ მოკრძალებული ოცნება ჰქონდა, მაგრამ ერთი კვირის წინ, „ბერნაბეუზე" „ბარსელონას" მარცხის მერე, ამ გრანდთა შორის ქულათა სხვაობა ექვსამდე შემცირდა და ოქრომედალოსნობის შანსი ვანდერლეი ლუშემბურგოს შეგირდებსაც გაუჩნდათ. და, რას ნიშნავს ეს? იმას, რომ კალენდარში დარჩენილი ყველა შეხვედრა ორივე გუნდისთვის ფინალის ტოლფასია.

„პირველ ფინალს", მადრიდულ „ხეტაფესთან" კატალონიელები კაპიტან კარლეს პუიოლისა და სამუელ ეტოოს გარეშე ითამაშებენ — პუიოლს ყვითელი ბარათები დაუგროვდა და დისკვალიფიცირებულია, ხოლო აფრიკელმა მეგოლემ, როგორც ჩანს, „ბერნაბეუზე" ნატკენი მუხლი ვერ მოირჩინა. ეტოოს მაგივრად მინდორზე სავარაუდოდ, არგენტინელი მაქსი ლოპესი გავა. „შანსს მოუთმენლად ველი. ჩემი საქმე გოლების გატანაა, რის გაკეთებასაც „ხეტაფესთან" ვაპირებ" — თქვა მაქსიმ.

რაც შეეხება „ხეტაფეს", კიკე ფლორესის ბიჭებმა წინა ტურში „ალბასეტე" დაამარცხეს და რახან სეგუნდაში გასავარდნ ადგილს ასცდნენ, ბარსელონაში შედარებით მშვიდად იბურთავებენ.

„რთული თამაში რომ იქნება, ცხადია. „ბარსელონა" „რეალთან" მარცხის მერე გამხეცებულია, თუმცა გულხელდაკრეფილნი არც ჩვენ ვიქნებით. ვეცდებით, „კამპ ნოუდან" ქულა მაინც წამოვიღოთ" — ამბობს კიკე ფლორესი. ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრა „ბარსელონამ" მოიგო 2:1.

„რეალი" კი სტუმრად, „ლევანტეს" ეთამაშება. მადრიდელებს დააკლდება დანიელი საყრდენი თომას გრავესენი, ვინაც გუნდის ვარჯიშზე მიიღო ტრავმა.

„მთავარია, მშვიდად ვიყოთ და „ლევანტესთანაც" ჯიგრით ვითამაშოთ. ვფიქრობ, ოქროს მედლებისთვის „რეალის" სვლა გაგრძელდება" — თქვა ვანდერლეი ლუშემბურგომ, რომლის მთავარი საფიქრალია, ძირითადში მაიკლ ოუენი დააყენოს, თუ ისევ ლუიშ ფიგუ.

„სოსიედადი" „დეპორტივოს" მასპინძლობს და ბასკებს ტრავმირებული დარკო კოვაჩევიჩი არ ეყოლებათ, „დეპორს" კი ასევე დაშავებულები — ლიონელ სკალონი და დიეგო ტრისტანი დააკლდებიან.

მადრიდის „ატლეტიკო" „ესპანიოლს" მიიღებს, ხოლო ხოაკინ კაპაროსის „სევილია" კი „ოსასუნას" დაჩაგვრას შეეცდება. „ატლეტიკოს" არიელ იბაგასა არ ეყოლება, ხოლო სტუმრებს იტო გამოაკლდებათ დისკვალიფიკაციის გამო.

ანდალუზიური „სევილია" ცხრილში ახლა მესამეა და ბოლო სამი ტურია, მოგების გარდა არაფერს აკეთებს: „გუნდი შესანიშნავ ფორმაშია და საშინაო თამაშშიც ოდენ მოგებაზე ვფიქრებთ" — ამაყად განმარტა კაპაროსმა.

| XXXII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ატლეტიკო | : | ესპანიოლი |
| სევილია | : | ოსასუნა |
| სოსიედადი | : | დეპორტივო |
| **ხვალ** | | |
| რასინგი | : | ბილბაო |
| ვილიარეალი | : | ბეტისი |
| ლევანტე | : | რეალი |
| მალიორკა | : | ვალენსია |
| ბარსელონა | : | ხეტაფე |
| სარაგოსა | : | ნუმანსია |
| ალბასეტე | : | მალიორკა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 31 | 21 | 6 | 4 | 59:25 | 69 |
| რეალი | 31 | 20 | 3 | 8 | 55:28 | 63 |
| სევილია | 31 | 15 | 7 | 9 | 37:34 | 52 |
| ვილიარეალი | 30 | 14 | 9 | 7 | 52:28 | 51 |
| ბეტისი | 31 | 13 | 11 | 7 | 52:42 | 50 |
| ესპანიოლი | 31 | 14 | 7 | 10 | 41:39 | 49 |
| ვალენსია | 31 | 12 | 12 | 7 | 48:34 | 48 |
| ატლეტიკო | 31 | 13 | 7 | 11 | 36:26 | 46 |
| დეპორტივო | 31 | 11 | 13 | 7 | 40:37 | 46 |
| ბილბაო | 31 | 12 | 8 | 11 | 50:42 | 44 |
| სარაგოსა | 31 | 12 | 7 | 12 | 37:42 | 43 |
| ხეტაფე | 31 | 10 | 9 | 12 | 32:36 | 39 |
| სოსიედადი | 31 | 11 | 6 | 14 | 40:45 | 39 |
| მალაგა | 31 | 10 | 6 | 15 | 30:40 | 36 |
| ლევანტე | 31 | 9 | 8 | 14 | 36:46 | 35 |
| რასინგი | 31 | 9 | 7 | 15 | 33:46 | 34 |
| ოსასუნა | 30 | 9 | 7 | 14 | 37:53 | 34 |
| ალბასეტე | 31 | 5 | 9 | 17 | 27:46 | 24 |
| მალიორკა | 31 | 6 | 6 | 19 | 28:55 | 24 |
| ნუმანსია | 31 | 5 | 8 | 18 | 22:48 | 23 |




# 6 მატჩი, 300 000 ფრანკი და 0:3
## ინტერმა გულშემატკივარი ჩაუშვა

**იმ ექვსი** მატჩიდან, რომლებშიც უეფამ „ინტერს" დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, ოთხი „შავ-ლურჯებმა" ნამდვილად უმაყურებლო „სან სიროზე" უნდა ითამაშონ, ხოლო დარჩენილ ორში თუ ყველაფერი კარგად იქნება, შესაძლოა, ქომაგებს ტრიბუნაზე დაბრუნების ნებაც დართონ.

მაშ ასე, თუ „ინტერის" მხარე იმ ოთხ შეხვედრაში — რომელიც გუნდმა სიცარიელეში უნდა გამართოს — კარგად მოიქცევა, უეფა ბოლო ორი მატჩის დისკვალიფიკაციას მოუხსნის. მაგრამ, არის ერთი ძალიან საინტერესო საკითხიც: კერძოდ, ვინ უნდა მოიქცეს კარგად და საერთოდ, ვისი ბრალი იყო ის, რაც სამშაბათს „სან სიროზე" მოხდა, კლუბის?



და, აი სენსაციაც: პირველად იტალიური ფეხბურთის ისტორიაში კლუბი საკუთარ გულშემატკივარს გაემიჯნა. მეტიც, ოთხშაბათ საღამოს დაკავებულ და დებოშიორობაში ეჭვმიტანილ მავან გულშემატკივარ მიკელე პელეგრინის, არც მეტი, არც ნაკლები, თავად „ინტერი" უჩივის. ერთი სიტყვით, კლუბის აზრით, ის 300 000 შვეიცარიული ფრანკი, რომლითაც უეფამ „ინტერი" დააჯარიმა, პელეგრინის გადასახდელია.

„მიმაჩნია, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი სიგნალია — ამბობს სახალხო ბრალმდებელი ფაბიო როია — ეს ნიშნავს, რომ ჩვენ იმ პრეცედენტის მოწმენი ვხდებით, როდესაც კლუბი თავის გულშემატკივარს ემიჯნება."

საინტერესო ცნობა გაავრცელა იტალიურმა საინფორმაციო სააგენტო **ANSA**-მაც. ამ ცნობაში წერია, რომ „ინტერის" „კურვა ნორდის" ანუ ჩრდილოეთ ტრიბუნის ერთ-ერთი ფან-დაჯგუფების ლიდერი ფრანკო კარავიტა დაკითხვაზეა დაბარებული.

ვფიქრობთ, ამ ისტორიას საინტერესო გაგრძელება უნდა ჰქონდეს.

**პაპუნა ძედია**

# წასვლა? არწასვლა?
## საკითხავი არაფერია

**იტალიური** პრესის ცნობით, დიდი შანსია, მომავალ ზაფხულს დავიდ ტრეზეგემ „იუვენტუსი" დატოვოს.

მოგეხსენებათ, ფრანგი გუნდიდან წასვლაზე გასულ ზაფხულსაც ფიქრობდა, მაგრამ მხარეებმა საერთო ენის გამონახვა და ახალ კონტრაქტზე მოლაპარაკება შეძლეს.

დავიდ ტრეზეგე მიმდინარე სეზონში ტრავმებმა გატანჯა. თუმც ისედაც ნათელია, რომ ტრეზეგეს გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული აღარა აქვს.

აპენინური ჟურნალ-გაზეთების ცნობით, ლუჩანო მოჯი და კომპანია ტრეზეგეს სარფიანად გაყიდვაზე უარს არ იტყვიან. თანხა კი სავარაუდოდ ახალი ფორვარდების შეძენას მოხმარდება.

როგორც ამბობენ, ტურინელებს ჯერ კიდევ არ ჩაუქნევიათ ხელი ალბერტო ჯილარდინოს ტრანსფერზეც, ხოლო მათი მთავარი სამიზნე რომ ანტონიო კასანოა, უკვე ძველი ამბავია.

ასეა თუ ისე, ტრეზეგეს მსურველ კლუბად კვლავ „ბარსელონა" და რამდენიმე ინგლისური გუნდი სახელდება, თუმცა ამ ინფორმაციაზე ჯერ კომენტარი არავის არ გაუკეთებია.

დავიდ ტრეზეგეს გარდა, ლაპარაკია გუნდიდან ფაბიო კაპელოს წასვლის შესახებაც, რაკი ტაქტიკოსის მუშაობა მიმდინარე სეზონში არც ისე შთამბეჭდავი აღმოჩნდა, როგორსაც ელოდნენ, მაგრამ ეს ინფორმაცია ტურინელთა უფროსობამ კატეგორიულად უარყო.

„მინდა დაგარწმუნოთ, რომ ფაბიო კაპელო მომავალ სეზონშიაც „იუვენტუსის" მთავარი მწვრთნელი იქნება. ეს უკვე გადაწყვეტილია. რაც შეეხება ჩვენს სამომავლო გეგმებს, ამაზე უფრო დაწვრილებით 24 აპრილის ანუ „ლაციოსთან" თამაშის მერე ვიფიქრებთ. ჩემი აზრით, სულ რამდენიმე პატარა ცვლილებაა საჭირო. გუნდის ერთიანი გადაწყობითა და შეცვლით, სასურველ შედეგს ვერ მივიღებთ. ახლა მთავარია, სკუდეტო მოვიგოთ. ევროპაში კი მომავალ სეზონში დავბრუნდებით და იმედია, უფრო შორს წავალთ" — დასძინა ბოლოს „იუვეს" გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ტიტო აბიჯანიდან
## ძია მიშელი და კლასში ჩატოვებული დიდიე

*ის მსოფლიოს ერთ-ერთი უძვირესი ფეხბურთელია. გასულ წელს, რომან აბრამოვიჩმა მის სანაცვლოდ „მარსელს" 36 მილიონი ევრო ჩაუთვალა, უფრო მეტი, ვიდრე „რეალმა" დევიდ ბექემში, „ბარსელონამ" კი რონალდინიოში გადაიხადა.*

*დიდიე დროგბაზე მოგახსენებთ, რომელიც ბალღობაში მშობლიურ ქალაქ აბიჯანის ავტოსადგომზე ბურთს დასდევდა, დღეს კი „ჩელსისა" და ევროპული ფეხბურთის ვარსკვლავია.*

*დროგბას დღევანდელობა ცნობილია, მისი ბიოგრაფია კი უცნობი, რომელშიაც ბევრი საინტერესო ფაქტია*

**მოკლედ,** კოტ დივუარელმა დიდიემ, მეტსახელად „ტიტო", აბიჯანი ხუთი წლის ასაკში დატოვა და საფრანგეთში, ბრესტში მცხოვრებ ძია მიშელ გობესთან გადავიდა. ბრესტში მან სამი წელი გაატარა და ქვეყნის გეოგრაფიაც საფუძვლიანად შეისწავლა, რადგან ძია მიშელი პროფესიონალი ფეხბურთელი იყო, გუნდებს ხშირ-ხშირად იცვლიდა და მთელს საფრანგეთში მოგზაურობდა. „აბევილი", „ტურკუანი", „კანი"... ძია მიშელი გუნდებს წინდებივით იცვლიდა, „ტიტოც" მას დაჰყვებოდა.

რვა წლის დროგბა სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ მალე კოტ დივუარში ეკონომიკური კრიზისი დაიწყო, რამაც „ტიტოს" მშობლებს სამუშაო დააკარგვინა — ორივე ბანკში მუშაობდა, უფულობის გამო შვილს სათანადო განათლება ვერ მიაღებინეს, ამიტომ გადაწყვიტეს, ბავშვი ისევ საფრანგეთში გაეგზავნათ ძია მიშელთან.

საფრანგეთის ჩრდილოეთში, პორტ დიუნკერკში, დროგბამ ფეხბურთის თამაში დაიწყო. უცნაურია, მაგრამ მას თავიდანვე მარჯვენა მცველობა დააკისრეს. ძია მიშელი გაბრაზდა, მცველობა რა შენი საქმეა, წინ წადი, ხალხს ფორვარდები უყვარსო. ამის შემდეგ დროგბამ ფორვარდობა გადაწყვიტა.

13-ისა რომ შესრულდა, დიდიეს მშობლები კოტ დივუარიდან საფრანგეთში გადავიდნენ საცხოვრებლად. ამ დროისთვის დროგბას სწავლასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა, რადგან მთელს ქვეყანაში მოხეტიალე მიშელ გობუს გამო მეცადინეობას ველარ ასწრებდა და კლასში ჩატოვეს.

მშობლებს შვილის უსწავლელობა არ მოეწონათ. ამიტომ „ტიტო" პუატიეში, სხვა ნათესავს მიაბარეს. იქ გატარებული ორი წლის შემდეგ დიდიე მშობლებთან ერთად პარიზთან ახლოს, სენტ ანტონიში გადავიდა საცხოვრებლად. ამჯერად მთელი ოჯახი ერთად შეიკრიბა — დედ-მამა და ექვსი შვილი.

და, სწორედ ამ დროიდან იწყება დიდიე დროგბას ნამდვილი საფეხბურთო კარიერა. პირველი პროფესიული კონტრაქტი მან „ლევალუასთან" გააფორმა.

„თამაშის წინა დღეს, თანაგუნდელებისგან განსხვავებით, ღამის კლუბებს არასოდეს სტუმრობდა — გაიხსენა „ლევალუას" ყოფილმა ტექნიკურმა დირექტორმა სრებენიკო რეპჯიჩმა — ის ბეჯითი და მოაზროვნე ფეხბურთელი იყო".

დროგბა „ლევალუადან" „ლე მანში", აქედან „გენგამში", მერე კი „მარსელში" აღმოჩნდა და პირველივე სეზონში, ამ ზღვისპირული კლუბის თავგადაკლულ ფანთა ჯილად იქცა. ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა და იგი თვით ჟან-პიერ პაპენსაც კი გაუტოლეს.

2004 წელს „ტიტო" საფრანგეთში, სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელეს, „მარსელისგან" კი ლონდონურმა „ჩელსიმ" შეიძინა.

ჯერჯერობით, დიდიე დროგბა რაც ჟოზე მაურინიუს გუნდშია, თავის საქმეს ფრიადზე ასრულებს, ერთი ჯილდო (ინგლისის ლიგის თასი) უკვე მოიგო, სრული ბედნიერებისთვის კი ჩემპიონთა ლიგის მოგება მსურსო, ამბობს „ტიტო".

**ვაჟა ხუციშვილი**




დიდიე დროგბა ბავშობაში მცველად თამაშობდა

## Copa Toyota Libertadores '2005

### ლიბერტადორესის თასი 2004

I ჯგუფი. IV ტური

**ატლეტიკო პარანენსე (ბრაზილია) 2:1 ამერიკა (კოლუმბია)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერიკა (კოლუმბია) | 4 | 3 | 0 | 1 | 7:4 | 9 |
| ატლეტიკო პარანენსე (ბრაზილია) | 4 | 2 | 1 | 1 | 6:6 | 7 |
| ინდეპენდიენტე (კოლუმბია) | 4 | 1 | 1 | 2 | 8:8 | 4 |
| ლიბერტადი (პარაგვაი) | 4 | 1 | 0 | 3 | 6:9 | 3 |

VIII ჯგუფი. IV ტური

**დეპორტივო კუენსა (ეკვადორი) 2:2 სპორტინგ კრისტალი (პერუ)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) | 4 | 2 | 1 | 1 | 8:3 | 7 |
| სპორტინგ კრისტალი (პერუ) | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 7 |
| პაჩუკა (მექსიკა) | 4 | 2 | 0 | 2 | 5:8 | 6 |
| დეპორტივო კუენსა (ეკვადორი) | 4 | 0 | 2 | 2 | 3:5 | 2 |

# უეფას თასი 2004-2005
# 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები

სპორტინგი (პორტუგალია) 4:1 ნიუკასლი (ინგლისი) (0:1)
ოსერი (საფრანგეთი) 2:0 ცსკა (რუსეთი) (0:4)
პარმა (იტალია) 0:0 აუსტრია (ავსტრია) (1:1)
ალკმაარი (ჰოლანდია) 1:1 ვილიარეალი (ესპანეთი) (2:1)

## სიურპრიზი სიურპრიზის ნილ
## მხცოვანი გი რუს სიხარული



ალან შირერი და მისი „ნიუკასლი" პორტუგალიელებმა თასიდან დაიფრინეს

**ლისაბონის** „სპორტინგსა" და მის ქომაგებს სტუმრებმა ალან შირერის, შეი გივენისა და კირონ დაიერის სახით თავიდანვე უსიამოვნო სიურპრიზი მოუმზადეს. საქმე ისაა, რომ ინგლისელები მთელი კვირა გაიძახოდნენ, ამ სამეულს ტრავმები აქვთ და მინდორზე ვერ გავლენო, მაგრამ... სიურპრიზიც ეს იყო.

მაგრამ, მატჩი მასპინძლებმა მაინც აქტიურად დაიწყეს. ჯორდებმა კი თამაში თავიდანვე კონტრშეტევებზე ააგეს, რომელთაგან ერთ-ერთმა დებიუტშივე შედეგი გამოიღო — მე-20 წუთზე მასპინძელთა მცველი ანდერსონ პოლგა შეცდა უხეშად, რითაც ჩინებულად ისარგებლა კირონ დაიერმა და რიკარდუსთან პირისპირ დარჩენილსაც გატანა არ გასჭირვებია.

გაშვებულმა გოლმა „სპორტინგი" მძიმე ვითარებაში ჩააგდო, ლისაბონელებს ხომ სულ ცოტა, სამი ბურთის გატანა სჭირდებოდათ ნახევარფინალში გასასვლელად.

და დაიწყო: დაიერის გოლიდან ზუსტად 20 წუთში მარიუს ნიკულაემ თავი მარჯვედ შეაგება და წონასწორობა ასე აღადგინა.

71-ე წუთზე კი „ნიუკასლმა" მეორე გოლი გაუშვა — სტუმართა საჯარიმოში შექმნილი არეულობის შემდეგ რიკარდუ ზა პინტუმ ითამაშა დასწრებაზე ზუსტად.

ამით ფრთაშესხმულმა მასპინძლებმა დაწოლა უფრო გააძლიერეს და მალე სანუკვარი მესამე გოლიც შეაგდეს: 77-ე წუთზე ფაბიო როჩემბაკის კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი მასპინძელთა კაპიტანმა ბეტუ სევერუმ გივენის კარში გადაგზავნა. მეოთხე კი როჩემბაკმა მიითვალა.

„სპორტინგის" თავკაცი ჟოზე პეშეირო: „ჩვენ მებრძოლი ხასიათი გამოვავლინეთ და საკმაოდ მაღალი დონის თამაში ვაჩვენეთ, განსაკუთრებით მეორე ტაიმში. „ნიუკასლი" ძალიან ძლიერი გუნდია და ბევრიც გვანერვიულა, მაგრამ ბედმა ზურგი არ გვაქცია. დიდი მადლობა გულშემატკივრებს, მათმა ჩინებულმა მხარდაჭერამ ფასდაუდებელი სამსახური გაგვიწია".

ცხადია, უხასიათოდ იყო ინგლისელთა მთავარი მწვრთნელი გრემ სუნესი. მან წაგების მთავარ მიზეზად უიღბლობა და გუნდში არსებული ტრავმების ეპიდემია დაასახელა.

„სპორტინგის" მომავალი მეტოქის ვინაობა ჰოლანდიაში ირკვეოდა, სადაც მაყურებელმა „ალკმაარისა" და „ვილიარეალის" შესრულებით საკმაოდ ლაღი, ლამაზი და დაძაბული მატჩი იხილა.

ესპანელებს დაწინაურება მე-7 წუთზევე შეეძლოთ, მაგრამ რიკელმეს პასი ლუჩო ფიგეროამ ვერ შეირგო. ეს იყო და, პირინეელებმა გოლი აქეთ მიიღეს — მასპინძელთა დანიელმა ფორვარდმა კენეტ პერესმა დაბალ კუთხეში ძლიერი დარტყმით გამოიჩინა თავი.

შესვენების შემდეგ ესპანელები გააქტიურდნენ. ჩვეულად მოუსვენარი იყო ხუან რომან რიკელმე. მან არაერთი სახიფათო მომენტი შეუქმნა თანაგუნდელებს, მაგრამ ისინი ვერ ხეირობდნენ. შეტევის საგოლედ დასრულება მათ მხოლოდ ერთხელ შეძლეს, როდესაც იმავე რიკელმეს კარგ თამაშს ფიგეროას გამთანაბრებელი გოლი მოჰყვა.

„კარგად დავიწყეთ და შემდეგ ეტაპზეც დამსახურებულად გავედით" — ლაკონური იყო „ალკმაარის" მთავარი მწვრთნელი კო ადრიანსე.

„პარმამ" ისევ მეორე შემადგენლობით ითამაშა, ამჯერადაც ანერვიულა ერთგული ტიფოზები, მაგრამ ისევ შეძლო სასურველი შედეგის მიღწევა.

მატჩში პირველი სახიფათო ეპიზოდი სტუმრებმა შექმნეს, რომლებიც ნელ-ნელა უპირატესობასაც დაეუფლნენ და რამდენიმე მწვავე მომენტიც ჰქონდათ, მაგრამ ვეტერანი მეკარე ლუკა ბუჩი საიმედოდ იდგა, ხანაც თავად ავსტრიელები სცოდავდნენ.

მეორე ტაიმში მინდორზე ალბერტო ჯილარდინო და დომენიკო მორფეო გამოჩნდნენ, რამაც, ცხადია, „პარმაზე" დადებითად იმოქმედა და უპირატესობა იტალიელთა მხარეს გადავიდა. გოლის გატანა ორჯერ შეეძლო ფაბიო სიმპლისიოს, მაგრამ...

„პარმას" თავკაც პიეტრო კარმინიანის კომენტარი ასეთი იყო: „აუსტრია" სერიოზული გუნდია და მიხარია, რომ ძალების გარკვეული დაზოგვით შევძელით ამ ბარიერის გადალახვა. ძალიან დიდი მადლობა ლუკა ბუჩის, რომელმაც ჩინებულად ითამაშა და რამდენჯერმე გადაგვარჩინა".

„მგონი, დამეთანხმებით, რომ ჩვენ გაცილებით უკეთ ვითამაშეთ დღესაც და ორი მატჩის ჯამშიაც. თუმცა ბევრი შანსი გავანიავეთ და საბოლოოდ, დასანანად გამოვეთიშეთ ტურნირს" — თქვა ვენელთა მწვრთნელმა ლარს შონდერგაარდგმა.

მხცოვანი გი რუს „ოსერი" მთელი შეხვედრის მანძილზე უტევდა ცსკა-ს კარს, მაგრამ ფრანგებმა მიზნის მიღწევა მხოლოდ ორჯერ, მატჩის დებიუტში და ბოლოში შეძლეს — მე-9 წუთზე გუნდის კაპიტანმა იან ლაშუერმა თავურით იხეირა, ხოლო 78-ეზე ლუიჯი პიერონის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გოლად ბონავენტურე კალუმ აქცია.

გი რუ: „რა თქმა უნდა, მთლიანობაში უკმაყოფილო ვარ, მაგრამ მიხარია კიდეც, რომ ქომაგებს იმედი ბოლომდე არ გავუცრუეთ და მოვიგეთ. თანაც ეს შეხვედრა საკმაოდ კარგად ჩავატარეთ".

არმიელთა არც ისე გაწბილებულმა თავკაცმა ვალერი გაზაევმა კი თავის შეცდომებზე ისაუბრა და ფეხბურთელებსაც უსაყვედურა. მისი თქმით, მიუხედავად პირველ მატჩში მოპოვებული დიდი უპირატესობისა, ცსკა-ს ასეთი უსახური და საზიზღარი თამაში არ უნდა ეჩვენებინა.

**გიორგი ძაძაბაძე**

### ნახევარფინალი

| პარმა — ცსკა | სპორტინგი — ალკმაარი |
|---|---|

*პირველი მატჩები გაიმართება 28 აპრილს, საპასუხოები — 5 მაისს*

### ფეხბურთის რუკასთან



**ესპანური** „ვილიარეალის" ფორვარდმა დიეგო ფორლანმა განაცხადა, ინგლისში დაბრუნება მინდაო. „აქაურობა ძალიან მომწონს და გუნდიც საკმაოდ კარგად თამაშობს, მაგრამ მაინც მინდა, ინგლისელებს დავუმტკიცო ის, რომ ძლიერი თავდამსხმელი ვარ და „მანჩესტერში" ჩემი ცუდი თამაში შემთხვევითობა იყო. პრემიერლიგაში დაბრუნებაზე უარს ნამდვილად არ ვიტყოდი" — განმარტა ფორლანმა.

**უკრაინის** ნაკრების ყოფილმა და მოსკოვის „დინამოს" მეკარემ მაქსიმ ლევიცკიმ რუსეთის მოქალაქეობა მიიღო. ამ გზით დედაქალაქელებმა კლუბში ლეგიონერების ლიმიტი ერთი კაცით გაიზარდეს.

**გერმანიის** ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის" ნახევარმცველმა მიხაელ ბალაკმა აღნიშნა, რომ გუნდში დარჩენის წინააღმდეგი არ არის. „მე მზად ვარ ხელმძღვანელობასთან მოსალაპარაკებლად. თუ ისინი მისაღებ და სერიოზულ წინადადებას შემომთავაზებენ, ეგებ დავთანხმდე კიდეც" — თქვა 28 წლის ბალაკმა.

**ესპანური** „რეალის" პორტუგალიელი ნახევარმცველი ლუიშ ფიგუ 4 ივნისს, სლოვაკეთთან მატჩში ეროვნულ ნაკრებს დაუბრუნდება. „ღმერთს უნდა, რომ იგი დაბრუნდეს. მეც ყოველთვის ეს მინდოდა და სკოლარიც, ცხადია, თანახმაა. მიხარია, რომ თავად ლუიშიც ძალიან მონდომებულია. მისთვის ნაკრების კარი მუდამ ღიაა" — აღნიშნა პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჟილბერტო მადილმა.

**ჰოლანდიური** „აიაქსის" ლიდერი რაფაელ ვან დერ ვაარტი ვარჯიშზე დაშავდა. ექიმების თქმით, მისი სარეაბილიტაციო პერიოდი დაახლოებით ერთ თვეს გასტანს. უფრო ზუსტი დიაგნოზი რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედი" უკვე რამდენიმე კვირაა, „სევილიას" ახალგაზრდა მცველ სერხიო რამოსს აკვირდება. 19 წლის ფეხბურთელით „არსენალი" და „რეალიც" დაინტერესდნენ, თუმც მისდამი განსაკუთრებულ ინტერესს სერ ალექს ფერგიუსონი იჩენს. „ეს ინფორმაცია მხოლოდ გაზეთებიდან გავიგე. თუ „მანჩესტერს" ჩემი შეძენა უნდა, კლუბთან და აგენტებთან შეთანხმება მოუწევს" — თქვა თავად რამოსმა.

**ბერძნულ** „პანათინაიკოსს" მომავალი ორი საშინაო მატჩის ცარიელი ტრიბუნების წინაშე გამართვა მოუწევს. გარდა ამისა, გუნდი 40 ათასი ევროთი დაჯარიმდა. ეს სასჯელი ათენელებმა გასულ უქმეებზე „ოლიმპიაკოსთან" შეხვედრისას მათი ქომაგების უწესო ქცევისთვის დაიმსახურეს.

**იტალიური** „უდინეზეს" ნახევარმცველის, დავიდ პიზაროს თქმით, თუ გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებს, „სტადიო ფრიულიდან" შესაძლოა, აღარც წავიდეს. „ჩემს შესაძლო ტრანსფერზე ახლა საუბარი ნამდვილად არ მინდა. იმედია, მეოთხე ადგილზე გავალთ, მერე კი ხელმძღვანელობამ ალბათ ფეხბურთელების ყიდვაზე უნდა იფიქროს და არა გაყიდვაზე" — აღნიშნა ჩილელმა.

**ჰოლანდიის** ნაკრებისა და „ალკმაარის" მცველი ჟორის მატიისენი მიმდინარე სეზონში ვერ ითამაშებს. ამ უკანასკნელმა მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო და უკვე ოპერაციაც გაუკეთეს. ექიმები ჯერჯერობით ვერ აზუსტებენ, რამდენ ხანს მოუწევს მატიისენს დასვენება.

**ინგლისური** „ლივერპულის" ფორვარდმა მილან ბაროშმა აღნიშნა, რომ შესაძლოა, გუნდის დატოვება გადაიფიქროს. „ჯერჯერობით ჩემს აგენტს არც ერთი კონკრეტული წინადადება არ მიუღია და სიმართლე გითხრათ, მეც არაფერი გადამიწყვეტია. ამჟამად მხოლოდ „ლივერპულზე" ვარ კონცენტრირებული" — თქვა ბაროშმა.

**ავსტრიული** „რაპიდის" კაპიტანი შტეფან ჰოფმანი მომავალ ზაფხულს სამშობლოში დაბრუნდება და „ვოლფსბურგში" ჩაირიცხება. ეს ინფორმაცია უკვე დაადასტურა „მგლების" სპორტულმა დირექტორმა, ჰოფმანის მეგობარმა თომას შტრუნცმა. აღსანიშნავია ისიც, რომ 24 წლის ნახევარმცველი თავის დროზე მიუნხენის „ბაიერნის" აღზრდილია.

**იტალიური** „ინტერი" „მონაკოს" მცველ პატრის ევრათი დაინტერესდა, თუმც „რეალისა" და „ბარსელონას" სახით მილანელებს სერიოზული კონკურენტები ჰყავთ. „თუ ჩემი მსურველი კლუბების დაინტერესება სერიოზულია, „მონაკოდან" წასვლაზე მართლაც დავფიქრდები. ამჟამად ჩემი აგენტი მათთან მოლაპარაკებებს აწარმოებს" — განმარტა 23 წლის ევრამ.

**გერმანულმა** „შტუტგარტმა" თავის ბელარუს ნახევარმცველ ალექსანდრ გლებს ახალი კონტრაქტის გაფორმება შესთავაზა. საუბარი, ცხადია, ხელფასის გაზრდაზეცაა. ამ გზით „შტუტგარტის" უფროსობა გლების შენარჩუნებას ცდილობს, რომლითაც რამდენიმე კლუბია დაინტერესებული.

სარბიელი და კროკო
წარმოგიდგენთ
სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| **16 აპრილი** | | | | | | | | |
| 18:00 | 1 | ჩარლტონი-ბოლტონი | 2.35 | 3.2 | 2.8 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 18:00 | 2 | კრისტალ პალასი-ნორვიჩი | 2.0 | 3.2 | 3.5 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 18:00 | 3 | ფულჰემი-სიტი | 2.3 | 3.2 | 2.9 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 18:00 | 4 | ლივერპული-ტოტენჰემი | 1.75 | 3.3 | 4.5 | 1.14 | 1.25 | 1.9 |
| 18:00 | 5 | საუთჰემპტონი-ასტონ ვილა | 2.2 | 3.2 | 3.1 | 1.3 | 1.28 | 1.57 |
| 20:15 | 6 | ბირმინგემი-პორტსმუთი | 1.85 | 3.3 | 4.1 | 1.18 | 1.27 | 1.82 |
| **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | | | |
| **16 აპრილი** | | | | | | | | |
| 15:00 | 10 | ვესტ ჰემი-მილუოლი | 1.75 | 3.4 | 4.1 | 1.15 | 1.22 | 1.85 |
| 18:00 | 11 | სტოკი-პლიმუთი | 2.0 | 3.3 | 3.3 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 18:00 | 12 | ლესტერი-უიგანი | 2.9 | 3.2 | 2.25 | 1.52 | 1.26 | 1.32 |
| 18:00 | 13 | შეფილდი-კარდიფი | 1.65 | 3.5 | 4.6 | 1.12 | 1.21 | 1.98 |
| 18:00 | 14 | ქრუ-ლიდსი | 2.2 | 3.2 | 3.0 | 1.3 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 15 | რედინგი-ნოტინგემი | 1.6 | 3.6 | 4.8 | 1.1 | 1.2 | 2.05 |
| 18:00 | 16 | პრესტონი-ბრაიტონი | 1.85 | 3.4 | 3.7 | 1.19 | 1.23 | 1.77 |
| 18:00 | 17 | ქუინზ პარკ რეინჯერსი-ვულვერჰემპტონი | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 | 18 | გილინგემი-ქრიუ | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| 18:00 | 19 | როთერჰემი-უოტფორდი | 2.65 | 3.3 | 2.35 | 1.46 | 1.24 | 1.37 |
| **17 აპრილი** | | | | | | | | |
| 15:00 | 20 | იფსვიჩი-სანდერლენდი | 2.3 | 3.2 | 2.9 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | | | |
| **16 აპრილი** | | | | | | | | |
| 18:00 | 25 | ბლეკპული-ჰადერსფილდი | 1.75 | 3.4 | 4.0 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 18:00 | 26 | ბარი-სვინდონი | 1.45 | 3.6 | 6.5 | 1.03 | 1.18 | 2.31 |
| 18:00 | 27 | მილტონი-ჩესტერფილდი | 2.3 | 3.4 | 2.5 | 1.37 | 1.19 | 1.44 |
| 18:00 | 28 | ჰარტლპული-კოლჩესტერი | 2.8 | 3.4 | 2.15 | 1.53 | 1.21 | 1.31 |
| 18:00 | 29 | ტორკი-პორტ ვეილი | 2.15 | 3.3 | 2.9 | 1.3 | 1.23 | 1.54 |
| 18:00 | 30 | ტრანმერი-ბლექპული | 1.5 | 3.5 | 6.0 | 1.04 | 1.2 | 2.21 |
| 18:00 | 31 | ბარნსლი-ოლდემი | 1.95 | 3.4 | 3.2 | 1.23 | 1.21 | 1.64 |
| 18:00 | 32 | ბრედფორდი-ბრენტფორდი | 2.55 | 3.3 | 2.35 | 1.43 | 1.22 | 1.37 |
| 18:00 | 33 | ბრისტოლი-რექსემი | 1.7 | 3.4 | 4.0 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| 18:00 | 34 | ჰადერსფილდი-პიტერბორო | 2.55 | 3.3 | 2.4 | 1.43 | 1.23 | 1.38 |
| 18:00 | 35 | ლუტონი-დონკასტერი | 1.45 | 3.6 | 6.5 | 1.03 | 1.18 | 2.31 |
| **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | | | |
| **16 აპრილი** | | | | | | | | |
| 18:00 | 38 | უიკომბი-ბური | 1.6 | 3.5 | 4.8 | 1.09 | 1.2 | 2.02 |
| 18:00 | 39 | ლინკოლნი-მაკლსფილდი | 2.1 | 3.2 | 3.0 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 18:00 | 40 | ნორთჰემპტონი-ბოსტონი | 2.6 | 3.4 | 2.3 | 1.47 | 1.22 | 1.37 |
| 18:00 | 41 | ჩესტერი-როჩდეილი | 2.15 | 3.2 | 2.85 | 1.28 | 1.22 | 1.5 |
| 18:00 | 42 | კიდერმინსტერი-ოქსფორდი | 3.3 | 3.4 | 1.9 | 1.67 | 1.2 | 1.21 |
| 18:00 | 43 | შრუზბერი-დარლინგტონი | 2.4 | 3.3 | 2.5 | 1.38 | 1.22 | 1.42 |
| 18:00 | 44 | ნოტსი-გრიმსბი | 2.05 | 3.4 | 3.0 | 1.27 | 1.21 | 1.59 |
| 18:00 | 45 | რუშდენი-მანსფილდი | 1.7 | 3.4 | 4.3 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 18:00 | 46 | რაშდენი-ბრისტოლი | 2.0 | 3.3 | 3.1 | 1.24 | 1.21 | 1.59 |
| 18:00 | 47 | სქანთორპი-კემბრიჯი | 1.45 | 3.6 | 6.5 | 1.03 | 1.18 | 2.31 |
| **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | | | |
| **16 აპრილი** | | | | | | | | |
| 18:00 | 55 | ბარნეტი-კარლაილი | 3.5 | 3.4 | 1.85 | 1.72 | 1.21 | 1.19 |
| 18:00 | 56 | კანვეი-სკარბორო | 2.35 | 3.3 | 2.55 | 1.37 | 1.22 | 1.43 |
| 18:00 | 57 | ფორესტ გრინი-ექსეტერი | 2.3 | 3.3 | 2.65 | 1.35 | 1.23 | 1.46 |
| 18:00 | 58 | ფარნბორო-ტელფორდი | 2.8 | 3.3 | 2.2 | 1.51 | 1.23 | 1.32 |
| 18:00 | 59 | ჰალიფაქსი-ჰერეფორდი | 2.25 | 3.2 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 18:00 | 60 | მორკემბი-ბარნეტი | 2.1 | 3.3 | 2.9 | 1.28 | 1.21 | 1.54 |
| 18:00 | 61 | ნორთვიჩი-ალდერშოტი | 2.55 | 3.3 | 2.35 | 1.43 | 1.22 | 1.37 |
| 18:00 | 62 | სტივენიჯი-გრეივსენდი | 1.55 | 3.5 | 5.3 | 1.07 | 1.19 | 2.1 |
| 18:00 | 63 | ლეიტონი-ტემზი | 2.2 | 3.3 | 2.75 | 1.31 | 1.22 | 1.5 |
| 18:00 | 64 | იორკი-დაგ ენდ რედი | 2.35 | 3.3 | 2.6 | 1.37 | 1.23 | 1.45 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| **16 აპრილი** | | | | | | | | |
| 18:00 | 70 | სელტიკი-აბერდინი | 1.15 | 5.5 | 12.0 | 1.0 | 1.04 | 3.77 |
| 18:00 | 71 | სელტიკი-აბერდინი 0:1 | 1.35 | 5.0 | 3.7 | | | |
| 18:00 | 72 | დანდი იუნაიტედი-ჰიბსი | 2.55 | 3.3 | 2.3 | 1.43 | 1.2 | 1.35 |
| 18:00 | 73 | ჰიბერნიანი-ლივინგსტონი | 1.55 | 3.5 | 5.0 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 18:00 | 74 | ინვერნესი-დანდი | 1.85 | 3.4 | 3.4 | 1.19 | 1.19 | 1.7 |
| 18:00 | 75 | მაზერველი-კილმარნოკი | 1.8 | 3.3 | 3.6 | 1.16 | 1.2 | 1.72 |
| **17 აპრილი** | | | | | | | | |
| 17:00 | 76 | დანფერმლაინი-რეინჯერსი | 10.0 | 5.0 | 1.2 | 3.33 | 1.07 | 1.0 |
| **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | | | |
| **16 აპრილი** | | | | | | | | |
| 18:00 | 77 | ეარი-სტ.მირენი | 2.3 | 3.4 | 2.5 | 1.37 | 1.19 | 1.44 |
| 18:00 | 78 | კლაიდი-ფოლკირკი | 2.5 | 3.5 | 2.25 | 1.45 | 1.18 | 1.36 |
| 18:00 | 79 | პარტიკი-სტ.ჯონსტონი | 2.35 | 3.4 | 2.45 | 1.38 | 1.19 | 1.42 |
| 18:00 | 80 | ქუინი-რეითი | 1.5 | 3.9 | 4.7 | 1.08 | 1.13 | 2.13 |
| 18:00 | 81 | როსი-ჰამილტონი | 2.25 | 3.5 | 2.5 | 1.36 | 1.18 | 1.45 |
| **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | | | |
| **16 აპრილი** | | | | | | | | |
| 18:00 | 82 | არბროთი-ბერვიკი | 2.1 | 3.5 | 2.7 | 1.31 | 1.18 | 1.52 |
| 18:00 | 83 | ბრეჩინი-აირი | 1.55 | 3.7 | 4.8 | 1.09 | 1.17 | 2.08 |
| 18:00 | 84 | მორტონი-ალოა | 1.55 | 3.7 | 4.8 | 1.09 | 1.17 | 2.08 |
| 18:00 | 85 | სტირლინგი-დამბარტონი | 1.9 | 3.5 | 3.2 | 1.23 | 1.19 | 1.67 |
| 18:00 | 86 | სტრანრაერი-ფორფარი | 1.5 | 3.9 | 4.8 | 1.08 | 1.14 | 2.15 |
| **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | | | |
| **16 აპრილი** | | | | | | | | |
| 18:00 | 87 | კოუდენბიტი-პიტერჰედი | 2.9 | 3.5 | 2.0 | 1.58 | 1.18 | 1.27 |
| 18:00 | 88 | ისტ სტერლინგი-ალბიონი | 2.35 | 3.5 | 2.4 | 1.4 | 1.18 | 1.42 |
| 18:00 | 89 | ელგინი-გრეტნა | 6.7 | 4.6 | 1.3 | 2.72 | 1.08 | 1.01 |
| 18:00 | 90 | ქუინს პარკი-ისტ ფაიფი | 1.95 | 3.5 | 3.0 | 1.25 | 1.18 | 1.61 |
| 18:00 | 91 | სტენჰაუზმუირი-მონტროუზი | 2.3 | 3.4 | 2.5 | 1.37 | 1.19 | 1.44 |
| **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| **16 აპრილი** | | | | | | | | |
| 17:30 | 92 | დორტმუნდი-არმინია | 1.55 | 3.5 | 5.8 | 1.07 | 1.22 | 2.18 |
| 17:30 | 93 | ფრაიბურგი-ლევერკუზენი | 4.3 | 3.4 | 1.75 | 1.89 | 1.24 | 1.15 |
| 17:30 | 94 | ჰანოვერი-ბაიერნი | 4.8 | 3.6 | 1.65 | 2.05 | 1.22 | 1.13 |
| 17:30 | 96 | ჰანზა-შტუტგარტი | 3.6 | 3.4 | 1.9 | 1.74 | 1.24 | 1.21 |
| 17:30 | 98 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 1.7 | 3.4 | 4.7 | 1.13 | 1.24 | 1.97 |
| 17:30 | 99 | შალკე-ჰამბურგი | 1.7 | 3.5 | 4.4 | 1.14 | 1.22 | 1.94 |
| 17:30 | 101 | ვერდერი-ჰერთა | 1.9 | 3.2 | 4.0 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| **17 აპრილი** | | | | | | | | |
| 19:30 | 102 | ვოლფსბურგი-ნიურნბერგი | 1.8 | 3.4 | 4.1 | 1.17 | 1.25 | 1.85 |
| 19:30 | 103 | კაიზერსლაუტერნი-ბოხუმი | 1.95 | 3.3 | 3.55 | 1.22 | 1.25 | 1.71 |
| **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| **17 აპრილი** | | | | | | | | |
| 17:00 | 108 | მიუნხენ 1860-საარბრიუკენი | 1.45 | 3.8 | 6.0 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| 17:00 | 109 | ალენი-კიოლნი | 3.0 | 3.3 | 2.1 | 1.57 | 1.23 | 1.28 |
| 17:00 | 110 | აუე-აინტრახტი | 2.25 | 3.2 | 2.8 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 17:00 | 111 | ტრიერი-ბურგჰაუზენი | 1.9 | 3.3 | 3.5 | 1.2 | 1.23 | 1.69 |
| 17:00 | 112 | უნტერჰახინგი-კარლსრუე | 1.95 | 3.3 | 3.2 | 1.22 | 1.21 | 1.62 |
| **18 აპრილი** | | | | | | | | |
| 22:15 | 113 | ალემანია-დუისბურგი | 2.25 | 3.3 | 2.7 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)** | | | | | | | | |
| **16 აპრილი** | | | | | | | | |
| 16:00 | 119 | ვუპერტალი-ვოლფსბურგი(მ) | 1.55 | 3.6 | 4.7 | 1.08 | 1.16 | 2.03 |
| 16:00 | 121 | კიოლი-ბრაუნშვაიგი | 2.6 | 3.3 | 2.25 | 1.45 | 1.2 | 1.33 |
| 16:00 | 123 | პადერბორნი-დორტმუნდი(მ) | 1.45 | 3.8 | 5.5 | 1.04 | 1.14 | 2.24 |
| **17 აპრილი** | | | | | | | | |
| 16:00 | 124 | ჰამბურგი(მ)-ქემნიცი | 1.85 | 3.3 | 3.5 | 1.18 | 1.21 | 1.69 |
| **გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)** | | | | | | | | |
| **16 აპრილი** | | | | | | | | |
| 16:30 | 126 | კობლენცი-აალენი | 1.8 | 3.3 | 3.8 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 16:30 | 128 | ოფენბახი-შტუტგარტი(მ) | 1.45 | 3.7 | 5.8 | 1.04 | 1.15 | 2.25 |
| 16:30 | 129 | კიკერსი-ზიგენი | 2.55 | 3.3 | 2.3 | 1.43 | 1.2 | 1.35 |
| 16:30 | 130 | ვეენი-აუგსბურგი | 2.05 | 3.3 | 2.95 | 1.26 | 1.2 | 1.55 |
| 16:30 | 131 | მიუნხენი(მ)-ელვერსბერგი | 1.75 | 3.4 | 3.9 | 1.15 | 1.2 | 1.81 |
| 20:30 | 132 | ჰოფენჰაიმი-ბაიერნი(მ) | 4.0 | 3.4 | 1.7 | 1.83 | 1.19 | 1.13 |
| **17 აპრილი** | | | | | | | | |
| 17:00 | 133 | მაინცი(მ)-ნიურნბერგი | 2.55 | 3.3 | 2.3 | 1.43 | 1.2 | 1.35 |
| **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| **16 აპრილი** | | | | | | | | |
| 20:30 | 134 | ადმირა-ტიროლი | 2.1 | 3.2 | 3.1 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 20:30 | 135 | მატერსბურგი-ზალცბურგი | 1.75 | 3.3 | 4.0 | 1.14 | 1.21 | 1.8 |
| 20:30 | 136 | პაშინგი-გრაცერი | 1.9 | 3.3 | 3.5 | 1.2 | 1.23 | 1.69 |
| 20:30 | 137 | შტურმი-რაპიდი | 3.1 | 3.3 | 2.05 | 1.59 | 1.23 | 1.26 |
| **17 აპრილი** | | | | | | | | |
| 17:30 | 138 | ავსტრია-ბრეგენცი | 1.15 | 6.0 | 12.0 | 1.0 | 1.04 | 4.0 |
| 17:30 | 139 | ავსტრია-ბრეგენცი 0:1 | 1.4 | 4.3 | 4.0 | | | |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| **17 აპრილი** | | | | | | | | |
| 16:30 | 147 | ბაზელი-იანგ ბოისი | 1.4 | 3.8 | 6.5 | 1.02 | 1.15 | 2.39 |
| 16:30 | 149 | შაფჰაუზენი-ქსამაქსი | 2.5 | 3.1 | 2.45 | 1.38 | 1.23 | 1.36 |
| 16:30 | 150 | თუნი-აარაუ | 1.4 | 3.8 | 6.5 | 1.02 | 1.15 | 2.39 |
| 16:15 | 152 | გრასჰოპერი-ციურიხი | 2.1 | 3.1 | 3.1 | 1.25 | 1.25 | 1.54 |
| **შვეიცარია** | | | | | | | | |
| **ჩელენჯლიგა** | | | | | | | | |
| **16 აპრილი** | | | | | | | | |
| 19:30 | 153 | ვადუცი-ვილი | 1.4 | 3.8 | 7.0 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| 19:30 | 155 | ვინტერთური-ბელინცონა | 2.05 | 3.1 | 3.1 | 1.23 | 1.23 | 1.54 |
| 19:30 | 156 | იუვერდონი-სიონი | 1.85 | 3.3 | 3.5 | 1.18 | 1.21 | 1.69 |
| 19:30 | 157 | შო დე ფონი-ბაულმი | 2.15 | 3.2 | 2.9 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 19:30 | 158 | ლუცერნი-კონკორდია | 1.65 | 3.3 | 4.6 | 1.1 | 1.21 | 1.92 |
| 21:30 | 159 | მეირინი-ბადენი | 1.35 | 3.8 | 8.5 | 1.0 | 1.16 | 2.62 |
| 21:30 | 160 | კიასო-გრენხენი | 1.65 | 3.3 | 4.6 | 1.1 | 1.21 | 1.92 |
| **17 აპრილი** | | | | | | | | |
| 16:30 | 161 | იუვენტუსი-ვოლენი | 2.15 | 3.2 | 2.8 | 1.28 | 1.21 | 1.49 |
| 18:00 | 162 | ლოზანა-ბულე | 1.4 | 3.6 | 7.0 | 1.0 | 1.16 | 2.37 |
| **იტალია** | | | | | | | | |
| **სერია A** | | | | | | | | |
| **16 აპრილი** | | | | | | | | |
| 20:00 | 171 | მესინა-უდინეზე | 2.7 | 2.8 | 2.75 | 1.37 | 1.36 | 1.38 |
| 22:30 | 172 | რომა-რეჯინა | 1.55 | 3.5 | 6.0 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 22:30 | 173 | სამპდორია-პალერმო | 2.15 | 2.8 | 3.7 | 1.21 | 1.35 | 1.59 |
| **17 აპრილი** | | | | | | | | |
| 17:00 | 163 | ბოლონია-ლაციო | 2.25 | 2.8 | 3.45 | 1.24 | 1.36 | 1.54 |
| 17:00 | 164 | ბრეშა-ატალანტა | 2.15 | 3.0 | 3.3 | 1.25 | 1.3 | 1.57 |
| 17:00 | 165 | კიევო-პარმა | 2.3 | 2.8 | 3.2 | 1.26 | 1.33 | 1.49 |
| 17:00 | 166 | ინტერი-კალიარი | 1.35 | 4.2 | 8.0 | 1.02 | 1.15 | 2.75 |
| 17:00 | 167 | ინტერი-კალიარი 0:1 | 1.65 | 4.0 | 2.8 | | | |
| 17:00 | 168 | იუვენტუსი-ლეჩე | 1.25 | 5.0 | 10.0 | 1.0 | 1.11 | 3.33 |
| 17:00 | 169 | იუვენტუსი-ლეჩე 0:1 | 1.55 | 4.5 | 3.5 | | | |
| 17:00 | 170 | ლივორნო-ფიორენტინა | 2.4 | 2.6 | 3.3 | 1.24 | 1.38 | 1.45 |
| 17:00 | 174 | სიენა-მილანი | 6.0 | 3.5 | 1.55 | 2.21 | 1.23 | 1.07 |
| **იტალია. სერია B** | | | | | | | | |
| **16 აპრილი** | | | | | | | | |
| 22:30 | 178 | პერუჯა-ტორინო | 2.1 | 2.7 | 3.6 | 1.18 | 1.32 | 1.54 |
| 22:30 | 179 | სალერნიტანა-მოდენა | 2.25 | 2.7 | 3.3 | 1.22 | 1.33 | 1.48 |
| 22:30 | 180 | ტერნანა-კროტონე | 1.75 | 3.0 | 4.6 | 1.1 | 1.26 | 1.81 |
| 22:30 | 181 | ტრევიზო-ჩეზენა | 1.5 | 3.2 | 7.0 | 1.02 | 1.23 | 2.19 |
| 22:30 | 182 | კატანძარო-ვიჩენცა | 3.0 | 3.1 | 2.1 | 1.52 | 1.23 | 1.25 |
| 22:30 | 184 | ალბინოლეფე-ვერონა | 2.3 | 2.8 | 3.1 | 1.26 | 1.32 | 1.47 |
| 22:30 | 185 | არეცო-ბარი | 2.3 | 2.7 | 3.1 | 1.24 | 1.32 | 1.44 |
| 22:30 | 186 | ასკოლი-ვენეცია | 1.5 | 3.5 | 6.0 | 1.04 | 1.2 | 2.21 |
| **იტალია. სერია C1/A** | | | | | | | | |
| **17 აპრილი** | | | | | | | | |
| 17:00 | 187 | კომო-ფროზინონე | 3.2 | 2.7 | 2.25 | 1.46 | 1.32 | 1.22 |
| 17:00 | 188 | კრემონეზე-პავია | 1.35 | 3.8 | 8.0 | 1.0 | 1.15 | 2.57 |
| 17:00 | 189 | გროსეტო-ლეკო | 1.55 | 3.0 | 6.5 | 1.02 | 1.25 | 2.05 |
| 17:00 | 192 | პისტოიეზე-ვერჩელი | 1.45 | 3.3 | 7.0 | 1.0 | 1.2 | 2.24 |
| 17:00 | 195 | ვიტერბო-ნოვარა | 2.2 | 2.5 | 3.6 | 1.17 | 1.36 | 1.47 |
| **იტალია. სერია C1/B** | | | | | | | | |
| **17 აპრილი** | | | | | | | | |
| 17:00 | 196 | ნოლა-ნაპოლი | 5.1 | 3.4 | 1.55 | 2.03 | 1.18 | 1.06 |
| 17:00 | 197 | კოზენცა-აველინო | 3.8 | 2.7 | 2.0 | 1.57 | 1.31 | 1.14 |
| 17:00 | 198 | ფოჯა-პესკარა | 1.6 | 3.1 | 5.5 | 1.05 | 1.23 | 1.98 |
| 17:00 | 200 | მარტინა-ჯულიანოვა | 1.8 | 2.7 | 4.8 | 1.08 | 1.3 | 1.72 |
| 17:00 | 201 | პადოვა-მანფრედონია | 1.7 | 2.7 | 5.8 | 1.04 | 1.31 | 1.84 |
| 17:00 | 202 | რიმინი-რეჯიანა | 1.6 | 3.0 | 6.0 | 1.04 | 1.26 | 2.0 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 204 | ტერამო-ლანჩანო | 2.45 | 2.6 | 3.0 | 1.26 | 1.34 | 1.39 |
| | | 18 აპრილი | | | | | | |
| 22:30 | 203 | სალე-სამბენედეტეზე | 2.3 | 2.5 | 3.3 | 1.19 | 1.35 | 1.42 |

**ესპანეთი. I დივიზიონი**

| | | 16 აპრილი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 206 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1.85 | 3.2 | 4.0 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 22:00 | 213 | სევილია-ოსასუნა | 1.5 | 3.6 | 6.5 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| 23:45 | 214 | სოსიედადი-დეპორტივო | 2.4 | 3.3 | 2.65 | 1.38 | 1.25 | 1.46 |
| | | 17 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 205 | ალბასეტე-მალაგა | 2.3 | 3.1 | 2.95 | 1.32 | 1.29 | 1.51 |
| 23:00 | 207 | ბარსელონა-ხეტაფე | 1.25 | 5.5 | 9.0 | 1.01 | 1.09 | 3.41 |
| 23:00 | 208 | ბარსელონა-ხეტაფე 0:1 | 1.65 | 4.0 | 3.4 | | | |
| 21:00 | 209 | ლევანტე-რეალი | 5.3 | 3.5 | 1.6 | 2.1 | 1.22 | 1.09 |
| 19:00 | 211 | მაიორკა-ვალენსია | 3.5 | 3.3 | 1.95 | 1.69 | 1.25 | 1.22 |
| 19:00 | 212 | რასინგი-ბილბაო | 2.3 | 3.2 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.5 |
| 19:00 | 215 | ვილარეალი-ბეტისი | 2.0 | 3.2 | 3.5 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 19:00 | 216 | სარაგოსა-ნუმანსია | 1.55 | 3.5 | 6.0 | 1.07 | 1.23 | 2.21 |

**ესპანეთი. II დივიზიონი**

| | | 16 აპრილი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 218 | ალმერია-პონტევედრა | 2.05 | 2.9 | 3.55 | 1.2 | 1.29 | 1.59 |
| 19:00 | 221 | ეიბარი-სპორტინგი | 1.7 | 3.2 | 4.5 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| 20:30 | 224 | ლეიდა-ტერასა | 1.95 | 3.0 | 3.65 | 1.18 | 1.27 | 1.64 |
| 22:00 | 225 | მურსია-ელჩე | 2.4 | 2.9 | 2.85 | 1.31 | 1.3 | 1.43 |
| 20:30 | 558 | სალამანკა-ტენერიფე | 2.1 | 2.9 | 3.4 | 1.21 | 1.29 | 1.56 |
| | | 17 აპრილი | | | | | | |
| 20:00 | 217 | ალავესი-მალაგა ბ | 1.55 | 3.4 | 5.6 | 1.06 | 1.21 | 2.11 |
| 19:00 | 219 | კადისი-ხიმნასტიკა | 1.6 | 3.3 | 5.4 | 1.07 | 1.23 | 2.04 |
| 20:00 | 220 | ხერესი-კორდობა | 1.35 | 3.9 | 7.5 | 1.0 | 1.14 | 2.56 |
| 20:00 | 222 | ფეროლი-ელჩე | 2.15 | 2.8 | 3.4 | 1.21 | 1.31 | 1.53 |
| 20:00 | 223 | ტარაგონა-ვალიადოლიდი | 2.0 | 2.9 | 3.7 | 1.18 | 1.29 | 1.62 |
| 14:00 | 226 | ჰერკულესი-პოლიდეპორტივო | 2.15 | 2.9 | 3.3 | 1.23 | 1.3 | 1.54 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი**

| | | 16 აპრილი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:15 | 227 | ლილი-ლანსი | 1.8 | 3.0 | 4.8 | 1.12 | 1.3 | 1.84 |
| 22:00 | 229 | ბასტია-ტულუზი | 2.15 | 3.0 | 3.3 | 1.25 | 1.3 | 1.57 |
| 22:00 | 230 | ბორდო-ნანტი | 2.0 | 2.9 | 4.0 | 1.18 | 1.33 | 1.68 |
| 22:00 | 231 | მარსელი-აიაჩო | 1.5 | 3.5 | 7.0 | 1.04 | 1.23 | 2.33 |
| 22:00 | 232 | მარსელი-აიაჩო0:1 | 2.2 | 3.1 | 2.35 | | | |
| 22:00 | 233 | მეცი-ისტრი | 1.65 | 3.2 | 5.3 | 1.08 | 1.25 | 1.99 |
| 22:00 | 234 | ნიცა-კანი | 1.7 | 3.1 | 5.5 | 1.09 | 1.29 | 1.98 |
| 22:00 | 235 | რენი-სენტ-ეტიენი | 1.7 | 3.1 | 5.5 | 1.09 | 1.29 | 1.98 |
| 22:00 | 236 | სოშო-მონაკო | 2.5 | 2.8 | 2.95 | 1.32 | 1.35 | 1.43 |
| | | 17 აპრილი | | | | | | |
| 20:00 | 237 | ოსერი-სტრასბურგი | 1.65 | 3.2 | 5.3 | 1.08 | 1.25 | 1.99 |
| 23:00 | 238 | ლიონი-პსჟ | 1.6 | 3.3 | 6.0 | 1.07 | 1.26 | 2.12 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი**

| | | 18 აპრილი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 250 | ლე ჰავრი-ბრესტი | 2.9 | 2.9 | 2.4 | 1.45 | 1.31 | 1.31 |

**ბელგია. I დივიზიონი**

| | | 16 აპრილი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 253 | ბრიუსელი-გენტი | 2.3 | 3.4 | 2.7 | 1.37 | 1.24 | 1.5 |
| 22:00 | 254 | მუსკრონი-ბეერსხოტი | 1.95 | 3.2 | 3.6 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| 22:00 | 255 | შარლერუა-ლიერსი | 1.55 | 3.7 | 5.3 | 1.09 | 1.19 | 2.17 |
| 22:00 | 256 | ლევერენი-სტ.ტრუიდენი | 1.95 | 3.3 | 3.5 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 22:00 | 258 | გენკი-ბევერენი | 1.3 | 4.5 | 9.0 | 1.0 | 1.13 | 3.0 |
| | | 17 აპრილი | | | | | | |
| 22:00 | 257 | ლოკერენი-ანდერლეხტი | 6.0 | 4.0 | 1.45 | 2.4 | 1.16 | 1.06 |
| 17:00 | 259 | სერკლი-ოსტენდე | 2.0 | 3.3 | 3.3 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 17:00 | 260 | სტანდარდი-მონსი | 1.25 | 5.5 | 8.5 | 1.01 | 1.08 | 3.33 |
| 17:00 | 261 | სტანდარდი-მონსი0:1 | 1.6 | 4.0 | 3.5 | | | |

**ბელგია. II დივიზიონი**

| | | 16 აპრილი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 264 | დენდერი-ჰეუსდენი | 2.15 | 3.1 | 3.0 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 22:00 | 265 | დეინზე-ვირტონი | 1.95 | 3.2 | 3.4 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| | | 17 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 268 | აალსტი-ეუპენი | 2.15 | 3.2 | 2.9 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 17:00 | 269 | როესელარე-გენკი | 2.25 | 3.2 | 2.8 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 17:00 | 270 | რონსე-ტუბიზი | 2.35 | 3.2 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 17:00 | 271 | სტ.-ნიკლასი-კორტრაიკი | 2.2 | 3.2 | 2.85 | 1.3 | 1.24 | 1.5 |
| 17:00 | 272 | ვარეგემი-ანტვერპენი | 1.65 | 3.2 | 4.8 | 1.08 | 1.22 | 1.91 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი**

| | | 16 აპრილი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 275 | გრაფშაპი-ვალვაიკი | 2.45 | 3.4 | 2.5 | 1.42 | 1.23 | 1.44 |
| 21:30 | 276 | როზენდაალი-დენ ბოსი | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 22:00 | 277 | ვიტესი-ჰეერენვენი | 2.05 | 3.3 | 3.2 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| | | 17 აპრილი | | | | | | |
| 14:30 | 278 | ფეიენოორდი-აიაქსი | 2.2 | 3.3 | 2.85 | 1.31 | 1.24 | 1.52 |
| 16:30 | 279 | ტვენტე-ნაიმეგენი | 1.6 | 3.6 | 5.0 | 1.1 | 1.21 | 2.09 |
| 16:30 | 280 | ზვოლე-პსვ | 6.0 | 3.4 | 1.55 | 2.17 | 1.23 | 1.06 |
| 16:30 | 282 | ვილ ბოსხი-გრონინგენი | 2.8 | 3.4 | 2.2 | 1.53 | 1.23 | 1.33 |
| 16:30 | 283 | ალკმაარი-ბრედა | 1.35 | 4.3 | 7.5 | 1.02 | 1.14 | 2.73 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი**

| | | 17 აპრილი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:30 | 302 | ზვოლე-ემენი | 1.5 | 3.7 | 5.5 | 1.06 | 1.17 | 2.21 |

**პორტუგალია**

**სუპერლიგა**

| | | 16 აპრილი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 308 | ბენფიკა-ლეირია | 1.3 | 4.5 | 9.0 | 1.0 | 1.13 | 3.0 |
| 23:45 | 309 | ბენფიკა-ლეირია 0:1 | 1.6 | 3.9 | 3.2 | | | |
| 22:15 | 314 | პორტუ-სეტუბალი | 1.35 | 4.0 | 7.0 | 1.0 | 1.13 | 2.54 |
| 22:15 | 315 | პორტუ-სეტუბალი 0:1 | 1.7 | 3.9 | 2.8 | | | |
| | | 17 აპრილი | | | | | | |
| 21:45 | 305 | გიმარაეში-ესტორილი | 1.5 | 3.6 | 6.5 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| 19:00 | 306 | აკადემიკა-პენაფიელი | 2.0 | 3.1 | 3.4 | 1.21 | 1.25 | 1.62 |
| 23:45 | 310 | ბრაგა-ბელენენსეში | 1.65 | 3.6 | 4.8 | 1.13 | 1.22 | 2.05 |
| 19:00 | 311 | ჟილ ვისენტე-მარიტიმუ | 2.1 | 3.2 | 3.2 | 1.26 | 1.26 | 1.6 |
| 19:00 | 313 | ნაციონალი-რიო ავე | 2.1 | 3.1 | 3.3 | 1.25 | 1.28 | 1.59 |
| | | 18 აპრილი | | | | | | |
| 23:45 | 312 | მორეირენსე-სპორტინგი | 4.1 | 3.5 | 1.75 | 1.88 | 1.22 | 1.16 |

**პორტუგალია**

**I დივიზიონი**

| | | 16 აპრილი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 324 | ვარზიმი-ამადორა | 2.45 | 3.1 | 2.55 | 1.36 | 1.24 | 1.39 |
| | | 17 აპრილი | | | | | | |
| 14:30 | 316 | პორტიმონენსე-ნავალი | 2.45 | 3.1 | 2.5 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| 19:00 | 317 | მაია-ფეირენსე | 2.15 | 3.0 | 3.0 | 1.25 | 1.25 | 1.5 |
| 19:00 | 318 | ალვერკა-ოლიანენსე | 2.45 | 3.1 | 2.5 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| 19:00 | 319 | შავეში-ავეში | 2.1 | 3.1 | 3.0 | 1.25 | 1.23 | 1.52 |
| 19:00 | 320 | ესპინიო-გონდომარი | 1.95 | 3.1 | 3.4 | 1.19 | 1.23 | 1.62 |
| 19:00 | 321 | ფელგეირაში-ოვარენსე | 2.1 | 3.2 | 3.0 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 19:00 | 322 | ლეიშოეში-ფეირენსე | 2.45 | 3.0 | 2.55 | 1.34 | 1.24 | 1.37 |
| 19:00 | 323 | მარკუ-სანტა კლარა | 1.6 | 3.4 | 4.7 | 1.08 | 1.19 | 1.97 |

**საბერძნეთი**

| | | 16 აპრილი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 328 | ერგოტელისი-პანათინაიკოსი | 9.0 | 4.5 | 1.25 | 3.0 | 1.09 | 1.0 |
| 18:00 | 329 | ერგოტელისი-პანათინაიკოსი1:0 | 3.5 | 4.1 | 1.5 | | | |
| 19:00 | 333 | პანიონიოსი-ირაკლისი | 2.05 | 3.0 | 3.2 | 1.21 | 1.24 | 1.54 |
| | | 17 აპრილი | | | | | | |
| 21:30 | 325 | აეკ-ქსანთი | 1.45 | 3.8 | 6.0 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| 17:30 | 326 | ხალკიდონა-იონიკოსი | 1.7 | 3.3 | 4.2 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 17:30 | 327 | ეგალეო-არისი | 1.8 | 3.2 | 3.8 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 20:00 | 330 | კალამარია-ოლიმპიაკოსი | 8.0 | 4.3 | 1.3 | 2.79 | 1.11 | 1.0 |
| 20:00 | 331 | კალამარია-ოლიმპიაკოსი1:0 | 3.0 | 4.1 | 1.6 | | | |
| 17:30 | 332 | კერკირა-კალითეა | 3.25 | 2.8 | 2.2 | 1.5 | 1.31 | 1.23 |
| 19:15 | 334 | პაოკ-ოფი | 1.4 | 3.7 | 7.0 | 1.01 | 1.16 | 2.42 |

**თურქეთი**

| | | 16 აპრილი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 337 | კონია-საკარია | 1.75 | 3.4 | 3.9 | 1.15 | 1.2 | 1.81 |
| 17:00 | 338 | სამსუნი-დენიზლი | 2.1 | 3.3 | 3.1 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| 17:30 | 339 | კაისერი-მალათია | 1.9 | 3.3 | 3.55 | 1.2 | 1.23 | 1.71 |
| 15:30 | 340 | სებათი-გალათასარაი | 11.0 | 5.5 | 1.2 | 3.66 | 1.08 | 1.0 |
| 15:30 | 341 | სებათი-გალათასარაი1:0 | 3.7 | 4.7 | 1.55 | | | |
| | | 17 აპრილი | | | | | | |
| 15:30 | 342 | რიზე-გაზიანტეპი | 2.0 | 3.3 | 3.2 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 15:30 | 343 | ისტანბული-გენჩლერი | 2.2 | 3.3 | 2.9 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| 15:30 | 344 | ანკარაგუჯუ-ანკარა | 2.2 | 3.2 | 2.9 | 1.3 | 1.25 | 1.52 |
| 20:00 | 345 | ფენერბაჩე-ბუიუქშეჰირი | 1.7 | 3.4 | 4.5 | 1.13 | 1.23 | 1.93 |

**რუსეთი**

| | | 16 აპრილი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 346 | რუბინი-ამკარი | 1.8 | 3.2 | 4.3 | 1.15 | 1.26 | 1.83 |
| 15:00 | 347 | სატურნი-ალანია | 1.35 | 4.0 | 8.0 | 1.0 | 1.15 | 2.66 |
| 15:00 | 348 | შინიკი-ტერეკი | 1.8 | 3.2 | 4.3 | 1.15 | 1.26 | 1.83 |
| 15:00 | 349 | ტორპედო-ტომი | 1.45 | 3.8 | 6.5 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| 15:00 | 350 | მოსკოვი-როსტოვი | 1.6 | 3.4 | 5.5 | 1.08 | 1.23 | 2.1 |
| 15:00 | 351 | კრილია-ლოკომოტივი | 3.0 | 2.9 | 2.35 | 1.47 | 1.31 | 1.29 |
| | | 17 აპრილი | | | | | | |
| 15:00 | 352 | სპარტაკი-დინამო | 2.25 | 2.9 | 3.2 | 1.26 | 1.32 | 1.52 |
| 16:00 | 353 | ზენიტი-ცსკა | 2.65 | 2.8 | 2.7 | 1.36 | 1.33 | 1.37 |

**პოლონეთი**

| | | 16 აპრილი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 354 | გურნიკი-კრაკოვია | 2.15 | 3.1 | 2.9 | 1.26 | 1.23 | 1.49 |
| 20:00 | 355 | გროცლინი-ამიკა | 1.75 | 3.2 | 4.0 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 20:00 | 356 | ლეხი-ზაგლემბე | 1.95 | 3.2 | 3.3 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 20:00 | 357 | ლეგია-კატოვიცე | 1.35 | 4.0 | 7.5 | 1.0 | 1.14 | 2.6 |
| 20:00 | 359 | პოლონია-პლოცკი | 2.3 | 3.0 | 2.8 | 1.3 | 1.26 | 1.44 |
| | | 17 აპრილი | | | | | | |
| 19:15 | 358 | ლენჩნა-ოდრა | 1.3 | 4.5 | 7.5 | 1.0 | 1.1 | 2.81 |
| 19:00 | 360 | ვისლა-პოგონი | 1.2 | 5.5 | 9.0 | 1.0 | 1.05 | 3.41 |
| 19:00 | 361 | ვისლა-პოგონი 0:1 | 1.45 | 4.6 | 3.7 | | | |

**ჩეხეთი**

| | | 16 აპრილი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:25 | 364 | სლოვაკო-სპარტა | 3.25 | 3.1 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 19:00 | 365 | ოპავა-დრნოვიცე | 2.0 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 22:00 | 366 | ზლინი-ბრნო | 1.95 | 3.0 | 3.6 | 1.18 | 1.26 | [illegible] |
| 19:00 | 367 | ბუდეიოვიცე-ხმელოვიცე | 2.3 | 2.9 | 3.0 | 1.28 | 1.3 | 1.47 |
| | | 17 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 368 | ბანიკი-ტეპლიცე | 2.6 | 2.9 | 2.6 | 1.37 | 1.29 | 1.37 |
| 19:00 | 369 | პრიბრამი-ოლომოუცი | 2.3 | 2.9 | 2.9 | 1.28 | 1.28 | 1.45 |
| 19:00 | 370 | სლავია-ბოლესლავი | 1.75 | 3.3 | 4.0 | 1.14 | 1.21 | 1.8 |
| | | 18 აპრილი | | | | | | |
| 18:40 | 371 | ლიბერეცი-ბანიკი | 2.0 | 3.1 | 3.3 | 1.21 | 1.24 | 1.59 |

**სლოვაკეთი**

| | | 16 აპრილი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 377 | ნიტრა-დუბნიცა | 2.4 | 3.0 | 2.7 | 1.33 | 1.27 | 1.42 |
| 19:30 | 378 | ბ.ბისტრიცა-კოშიცე | 1.8 | 3.2 | 3.8 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 19:30 | 379 | ჟილინა-ტრენჩინი | 1.55 | 3.5 | 5.0 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| | | 17 აპრილი | | | | | | |
| 12:30 | 380 | პეტრჟალკა-რუჟომბეროკი | 1.75 | 3.2 | 4.0 | 1.15 | 1.21 | 1.77 |
| 19:30 | 381 | ტრნავა-ინტერი | 1.7 | 3.3 | 4.1 | 1.12 | 1.2 | 1.82 |

**ხორვატია**

| | | 16 აპრილი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:00 | 383 | სლავენი-ჰაიდუკი | 5.5 | 3.6 | 1.5 | 2.17 | 1.17 | 1.05 |
| 18:00 | 384 | ინტერი-ვარტექსი | 1.9 | 3.1 | 3.55 | 1.17 | 1.23 | 1.65 |
| 20:00 | 386 | ოსიეკი-დინამო | 3.0 | 3.1 | 2.1 | 1.52 | 1.23 | 1.25 |
| 18:00 | 387 | პულა-ზადარი | 1.6 | 3.4 | 4.8 | 1.08 | 1.2 | 1.99 |

**უნგრეთი**

| | | 16 აპრილი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 396 | ტატაბანია-სოპრონი | 2.1 | 3.0 | 3.1 | 1.23 | 1.25 | 1.52 |
| 21:00 | 397 | უიპეშტი-ბეკეშჩაბა | 1.3 | 4.3 | 7.5 | 1.0 | 1.1 | 2.73 |
| 20:00 | 399 | დებრეცენი-ნირეგიჰაზა | 1.2 | 5.0 | 10.0 | 1.0 | 1.07 | 3.33 |
| 21:00 | 401 | ფტც-დიოშდიორი | 1.35 | 4.0 | 7.0 | 1.0 | 1.13 | 2.53 |
| | | 17 აპრილი | | | | | | |
| 13:30 | 400 | ფერენცვაროში-პაკში | 1.3 | 4.5 | 7.5 | 1.0 | 1.1 | 2.81 |

**დანია**

**სუპერლიგა**

| | | 16 აპრილი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 405 | ვიბორგი-ბრონდბიუ | 3.0 | 3.2 | 2.1 | 1.54 | 1.25 | 1.26 |
| 19:00 | 406 | ოდენსე-ესბიერგი | 2.15 | 3.3 | 2.9 | 1.3 | 1.23 | 1.54 |
| | | 17 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 407 | ნორდსიელანდი-ოლბორგი | 3.3 | 3.4 | 1.9 | 1.67 | 1.2 | 1.22 |
| 17:00 | 408 | ჰერფოლგე-მიდტიულანდი | 3.3 | 3.2 | 2.0 | 1.62 | 1.24 | 1.23 |
| 17:00 | 409 | სილკებორგი-რანდერსი | 1.75 | 3.4 | 4.0 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 19:30 | 410 | ორჰუსი-კოპენჰაგენი | 3.6 | 3.4 | 1.85 | 1.74 | 1.22 | 1.19 |

**დანია**

**I დივიზიონი**

| | | 16 აპრილი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 412 | კოლდინგი-ვეილე | 2.3 | 3.7 | 2.4 | 1.41 | 1.17 | 1.45 |
| | | 17 აპრილი | | | | | | |
| 15:00 | 413 | ბ 93-ფრემადი | 3.2 | 3.8 | 1.85 | 1.73 | 1.17 | 1.24 |
| 15:00 | 414 | ფრედერიკსჰავნი-ფრემადი | 1.9 | 3.7 | 3.0 | 1.25 | 1.16 | 1.65 |
| 15:00 | 415 | ფრემი-სკოვლუნდი | 1.5 | 3.7 | 5.5 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| 15:00 | 416 | ოლსტედი-ნესტვედი | 2.05 | 3.7 | 2.8 | 1.31 | 1.18 | 1.59 |
| 17:00 | 417 | ჰორსენსი-ნიკობინგი | 1.3 | 4.8 | 7.0 | 1.02 | 1.09 | 2.84 |
| 17:00 | 418 | კიოგე-ბრონშოი | 1.3 | 4.8 | 7.0 | 1.02 | 1.09 | 2.84 |
| 21:00 | 419 | სონდერიუსკე-დალუმი | 1.2 | 5.3 | 9.5 | 1.0 | 1.06 | 3.4 |

**ნორვეგია**

**ტიპელიგა**

| | | 16 აპრილი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:05 | 421 | ალესუნდი-ოდ გრენლანდი | 2.35 | 3.3 | 2.7 | 1.37 | 1.25 | 1.48 |
| | | 17 აპრილი | | | | | | |
| 20:00 | 422 | ბოდო გლიმტი-როზენბორგი | 4.5 | 3.7 | 1.6 | 2.05 | 1.18 | 1.11 |
| 20:00 | 423 | ლილესტრომი-ლინი | 2.2 | 3.2 | 2.9 | 1.3 | 1.25 | 1.52 |
| 20:00 | 424 | მოლდე-სტარტი | 2.15 | 3.3 | 2.9 | 1.3 | 1.23 | 1.53 |
| 20:00 | 425 | ტრომსე-ჰამკამი | 2.25 | 3.2 | 2.8 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 22:05 | 426 | ვალერენგა-ბრანი | 2.1 | 3.3 | 3.0 | 1.28 | 1.23 | 1.57 |
| | | 18 აპრილი | | | | | | |
| 21:00 | 427 | ფრედრიკშტადი-ვიკინგი | 2.45 | 3.3 | 2.5 | 1.4 | 1.23 | 1.42 |

**ნორვეგია. I დივიზიონი**

| | | 16 აპრილი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 428 | ბრინი-ალგარდი | 1.4 | 4.7 | 5.3 | 1.07 | 1.1 | 2.39 |
| | | 17 აპრილი | | | | | | |
| 20:00 | 429 | ჰონეფოსი-სტაბეკი | 2.7 | 3.7 | 2.1 | 1.56 | 1.18 | 1.33 |
| 20:00 | 430 | კონგსვინგერი-ჰოდი | 1.55 | 4.2 | 4.3 | 1.13 | 1.13 | 2.12 |
| 20:00 | 431 | ლოვ ჰამარი-სტრომსგოდსეტი | 2.85 | 4.0 | 1.95 | 1.66 | 1.15 | 1.31 |
| 20:00 | 432 | მანდალი-ფიორდი | 1.5 | 4.2 | 4.6 | 1.1 | 1.13 | 2.19 |
| 20:00 | 433 | პორს გრენლანდი-მოსი | 2.2 | 3.8 | 2.55 | 1.39 | 1.18 | 1.52 |
| 20:00 | 434 | სანდეფიორდი-ტრომსდალენი | 1.55 | 4.0 | 4.4 | 1.11 | 1.14 | 2.09 |
| 20:00 | 435 | ჰაუგერი-სოგნდალი | 3.3 | 4.0 | 1.8 | 1.8 | 1.16 | 1.24 |

## შვედეთი. ალსვენსკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **17 აპრილი** | | | | | | | | |
| 17:00 | 440 | ლანდსკრონა-მალმო | 4.0 | 3.4 | 1.8 | 1.83 | 1.24 | 1.17 |
| 17:00 | 441 | ჯურგარდენი-ასირიასკა | 1.3 | 4.5 | 9.0 | 1.0 | 1.13 | 3.0 |
| 17:00 | 442 | ჰელსინგბორგი-ორგრიუტე | 2.05 | 3.2 | 3.2 | 1.24 | 1.24 | 1.6 |
| **18 აპრილი** | | | | | | | | |
| 21:00 | 443 | ჰეკენი-სუნდსვალი | 1.9 | 3.3 | 3.6 | 1.2 | 1.24 | 1.72 |
| 21:00 | 444 | ჰალმსტადი-ელფსბორგი | 2.3 | 3.3 | 2.75 | 1.35 | 1.25 | 1.5 |
| 21:00 | 445 | ჰამარბი-კალმარი | 1.75 | 3.3 | 4.1 | 1.14 | 1.22 | 1.82 |

## შვედეთი. სუპერეტა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **16 აპრილი** | | | | | | | | |
| 18:00 | 446 | [illegible] | 1.6 | 3.7 | 4.5 | 1.11 | 1.18 | 2.03 |
| 18:00 | 447 | [illegible] | 1.5 | 4.0 | 5.0 | 1.09 | 1.15 | 2.22 |
| 18:00 | 448 | [illegible] | 2.35 | 3.4 | 2.55 | 1.38 | 1.22 | 1.45 |
| **17 აპრილი** | | | | | | | | |
| 18:00 | 449 | [illegible] | 1.85 | 3.4 | 3.6 | 1.19 | 1.22 | 1.74 |
| 18:00 | 450 | [illegible] | 2.05 | 3.3 | 3.0 | 1.26 | 1.21 | 1.57 |
| 18:00 | 451 | [illegible] | 1.25 | 4.8 | 8.0 | 1.0 | 1.08 | 3.0 |
| 18:00 | 452 | [illegible] | 2.3 | 3.3 | 2.6 | 1.35 | 1.22 | 1.45 |
| 19:00 | 453 | ორებრო-ბოდენსი | 1.2 | 5.5 | 10.0 | 1.0 | 1.07 | 3.54 |

## ირლანდია

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **16 აპრილი** | | | | | | | | |
| 22:30 | 459 | [illegible] | 1.65 | 3.3 | 4.5 | 1.1 | 1.2 | 1.9 |
| 22:45 | 460 | [illegible] | 2.9 | 3.0 | 2.25 | 1.47 | 1.26 | 1.28 |

## იაპონია

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **16 აპრილი** | | | | | | | | |
| 10:00 | 470 | [illegible] | 2.15 | 3.1 | 2.9 | 1.26 | 1.23 | 1.49 |
| 10:00 | 471 | [illegible] | 2.45 | 3.0 | 2.6 | 1.34 | 1.26 | 1.39 |
| 10:00 | 472 | [illegible] | 2.05 | 3.0 | 3.2 | 1.21 | 1.24 | 1.54 |
| 10:00 | 473 | [illegible] | 1.9 | 3.1 | 3.6 | 1.17 | 1.24 | 1.66 |
| 10:00 | 474 | [illegible] | 1.8 | 3.2 | 3.8 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 10:30 | 475 | [illegible] | 2.0 | 3.1 | 3.2 | 1.21 | 1.23 | 1.57 |
| 14:00 | 476 | [illegible] | 2.4 | 3.1 | 2.6 | 1.35 | 1.24 | 1.41 |
| **17 აპრილი** | | | | | | | | |
| 10:00 | 477 | [illegible] | 2.35 | 3.1 | 2.65 | 1.33 | 1.24 | 1.42 |
| 10:00 | 478 | [illegible] | 2.45 | 3.0 | 2.6 | 1.34 | 1.26 | 1.39 |

## აშშ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **16 აპრილი** | | | | | | | | |
| 23:00 | 480 | [illegible] | 2.5 | 3.1 | 2.55 | 1.38 | 1.26 | 1.39 |
| 23:45 | 481 | [illegible] | 2.15 | 3.1 | 3.0 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 23:45 | 482 | [illegible] | 2.1 | 3.1 | 3.2 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 23:45 | 483 | [illegible] | 2.5 | 3.1 | 2.55 | 1.38 | 1.26 | 1.39 |

## მექსიკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **16 აპრილი** | | | | | | | | |
| 23:45 | 484 | ხაგუარესი-პუებლა | 2.1 | 3.2 | 3.1 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 23:45 | 485 | მონტერეი-ნეკაქსა | 1.6 | 3.4 | 4.7 | 1.08 | 1.19 | 1.97 |
| 23:45 | 486 | დორადოსი-ვერაკრუსი | 1.6 | 3.5 | 4.5 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 23:45 | 487 | ჩიაპასი-მორელია | 2.0 | 3.2 | 3.1 | 1.23 | 1.21 | 1.57 |
| 23:45 | 488 | ატლასი-ტიგრესი | 2.25 | 3.2 | 2.65 | 1.32 | 1.21 | 1.44 |
| 23:45 | 490 | პუმასი-ატლანტე | 2.1 | 3.2 | 3.0 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| **17 აპრილი** | | | | | | | | |
| 23:45 | 489 | ამერიკა-ტოლუკა | 1.6 | 3.5 | 4.5 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 23:45 | 491 | სანტოსი-პაჩუკა | 1.55 | 3.7 | 4.8 | 1.09 | 1.17 | 2.08 |
| 23:45 | 492 | ტეკოსი-კრუს აზული | 2.3 | 3.2 | 2.65 | 1.33 | 1.23 | 1.44 |

## არგენტინა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **16 აპრილი** | | | | | | | | |
| 23:45 | 493 | არხენტინოს ხუნიორსი-[illegible] | 2.05 | 3.3 | 3.1 | 1.26 | 1.23 | 1.59 |
| 23:45 | 499 | რასინგი-არსენალი | 1.5 | 3.6 | 5.5 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| **17 აპრილი** | | | | | | | | |
| 21:00 | 494 | ბანფილდი-სან ლორენსო | 1.8 | 3.4 | 3.7 | 1.17 | 1.21 | 1.77 |
| 22:30 | 495 | კოლონი-ოლიმპო | 1.6 | 3.4 | 4.8 | 1.08 | 1.2 | 1.99 |
| 22:30 | 496 | ესტუდიანტესი-ნიუელსი | 2.0 | 3.3 | 3.0 | 1.24 | 1.2 | 1.57 |
| 23:45 | 497 | [illegible]-ბოკა ხუნიორსი | 4.3 | 3.4 | 1.65 | 1.89 | 1.19 | 1.11 |
| 22:30 | 498 | ინდეპენდიენტე-ალმაგრო | 1.75 | 3.3 | 4.0 | 1.14 | 1.21 | 1.8 |
| 23:10 | 500 | რივერ პლეიტი-კილმესი | 1.45 | 3.8 | 5.5 | 1.04 | 1.14 | 2.24 |
| 22:30 | 502 | ველესი-[illegible] | 1.7 | 3.3 | 4.1 | 1.12 | 1.2 | 1.82 |

## ურუგვაი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **16 აპრილი** | | | | | | | | |
| 23:00 | 509 | დანუბიო-პენიაროლი | 4.8 | 3.6 | 1.55 | 2.05 | 1.17 | 1.08 |
| 23:45 | 510 | [illegible]-რივერ პლეიტი | 2.45 | 3.3 | 2.4 | 1.4 | 1.21 | 1.38 |
| **17 აპრილი** | | | | | | | | |
| 22:30 | 503 | როჩა-ფენიქსი | 2.25 | 3.3 | 2.6 | 1.33 | 1.2 | 1.45 |
| 22:30 | 504 | უონდერერსი-რამპლა | 1.6 | 3.4 | 4.7 | 1.08 | 1.19 | 1.97 |
| 22:30 | 505 | სერო-მირამარი | 2.25 | 3.2 | 2.7 | 1.32 | 1.22 | 1.46 |
| 22:30 | 507 | ლივერპული-ტაკუარემბო | 1.6 | 3.5 | 4.5 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 17:10 | 511 | რენტისტასი-სერიტო | 3.3 | 3.3 | 1.9 | 1.64 | 1.2 | 1.2 |

## ჩილე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **16 აპრილი** | | | | | | | | |
| 23:45 | 512 | აუდაქსი-კობრესალი | 2.9 | 3.2 | 2.1 | 1.52 | 1.21 | 1.26 |
| 23:45 | 513 | კოკიმბო-უნ. კატოლიკა | 2.9 | 3.2 | 2.1 | 1.52 | 1.21 | 1.26 |
| 23:45 | 515 | უაჩიპატო-მელიპილა | 1.45 | 3.6 | 6.0 | 1.03 | 1.16 | 2.25 |
| 23:45 | 516 | პალესტინო-კოლო კოლო | 6.0 | 3.6 | 1.45 | 2.25 | 1.16 | 1.03 |
| 23:45 | 520 | სან ფელიპე-კონსეპსიონი | 2.45 | 3.2 | 2.45 | 1.38 | 1.22 | 1.38 |
| **17 აპრილი** | | | | | | | | |
| 23:45 | 517 | რეინჯერსი-[illegible] | 1.6 | 3.4 | 4.8 | 1.08 | 1.2 | 1.99 |
| 23:45 | 518 | [illegible] | 1.8 | 3.3 | 3.6 | 1.16 | 1.2 | 1.72 |
| 23:45 | 519 | უნივერსიდად-პუერტო მონტი | 1.8 | 3.3 | 3.7 | 1.16 | 1.21 | 1.7[illegible] |

## ინგლისი თასი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **16 აპრილი** | | | | | | | | |
| 15:15 | 530 | არსენალი-ბლეკბერნი | 1.45 | 3.7 | 7.2 | 1.04 | 1.2 | 2.4[illegible] |
| **17 აპრილი** | | | | | | | | |
| 17:00 | 531 | ნიუკასლი-მანჩესტერი | 5.0 | 3.4 | 1.65 | 2.02 | 1.24 | 1.11 |

## კალათბურთი იტალია

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **17 აპრილი** | | | | | | | | |
| 14:00 | 728 | [illegible]-კალაბრია | 1.15 | 12.0 | 3.5 | 1.04 | 1.0 | 2.7 |
| 20:15 | 729 | ვარეზე-ლივორნო | 1.35 | 12.0 | 2.35 | 1.21 | 1.0 | 1.96 |
| 20:15 | 730 | სიენა-კანტუ | 1.2 | 12.0 | 3.3 | 1.09 | 1.0 | 2.58 |
| 20:15 | 731 | აველინო-ბოლონია | 2.55 | 12.0 | 1.3 | 2.1 | 1.0 | 1.17 |
| 20:15 | 732 | უდინე-როზეტო | 1.4 | 12.0 | 2.5 | 1.25 | 1.0 | 2.06 |
| 20:15 | 733 | რომა-ნაპოლი | 1.3 | 12.0 | 2.6 | 1.17 | 1.0 | 2.13 |
| 20:15 | 734 | მილანი-სკავოლინი | 1.35 | 12.0 | 2.35 | 1.21 | 1.0 | 1.96 |
| 20:15 | 735 | ტერამო-ბენეტონი | 2.45 | 12.0 | 1.35 | 2.03 | 1.0 | 1.21 |
| 20:15 | 736 | ავერსა-ბიელა | 1.35 | 12.0 | 2.35 | 1.21 | 1.0 | 1.96 |

## კალათბურთი. ესპანეთი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **16 აპრილი** | | | | | | | | |
| 21:30 | 738 | ტაუ-გრანადა | 1.1 | 12.0 | 4.5 | 1.0 | 1.0 | 3.27 |
| 22:30 | 740 | ხოვენტუდი-უნიკახა | 1.85 | 12.0 | 1.6 | 1.6 | 1.0 | 1.41 |
| 23:45 | 741 | ტენერიფე-ალიკანტე | 2.3 | 12.0 | 1.4 | 1.93 | 1.0 | 1.25 |
| 21:00 | 742 | ვალიადოლიდი-სან [illegible] | 1.35 | 12.0 | 2.5 | 1.21 | 1.0 | 2.06 |
| 21:00 | 744 | [illegible] | 1.05 | 12.0 | 4.8 | 1.0 | 1.0 | 3.42 |
| **17 აპრილი** | | | | | | | | |
| 21:00 | 737 | რეალი-ბარსელონა | 1.35 | 12.0 | 2.5 | 1.21 | 1.0 | 2.06 |
| 14:30 | 739 | ესტუდიანტესი-ბრეოგანი | 1.25 | 12.0 | 2.9 | 1.13 | 1.0 | 2.33 |
| 14:30 | 743 | ვალენსია-ხირონა | 1.05 | 12.0 | 4.8 | 1.0 | 1.0 | 3.42 |
| 21:00 | 745 | მანრესა-ბილბაო | 1.35 | 12.0 | 2.5 | 1.21 | 1.0 | 2.06 |

## კალათბურთი. საბერძნეთი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **16 აპრილი** | | | | | | | | |
| 18:00 | 746 | არისი-[illegible] | 1.2 | 12.0 | 3.3 | 1.09 | 1.0 | 2.58 |
| 18:00 | 747 | პანელინიოსი-ოლიმპიაკოსი | 2.3 | 12.0 | 1.4 | 1.93 | 1.0 | 1.25 |
| 20:00 | 749 | მარუსი-პანიონიოსი | 1.25 | 12.0 | 3.0 | 1.13 | 1.0 | 2.3 |
| **17 აპრილი** | | | | | | | | |
| 18:00 | 750 | [illegible]-პანათინაიკოსი | 3.3 | 12.0 | 1.2 | 2.58 | 1.0 | 1.09 |
| 17:00 | 751 | აეკ-ირაკლისი | 1.15 | 12.0 | 3.8 | 1.04 | 1.0 | 2.88 |
| 19:30 | 752 | ლარისა-იონიკოსი | 1.2 | 12.0 | 3.1 | 1.09 | 1.0 | 2.46 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | [illegible] | 2.8 | 2.0 | 3.2 | 1.16 | 1.49 | 1.23 |
| 10002 | კრისტალ პალასი-[illegible] | 2.4 | 2.0 | 4.0 | 1.09 | 1.5 | 1.33 |
| 10003 | ფულჰემი-სიტი | 2.65 | 2.0 | 3.5 | 1.13 | 1.5 | 1.27 |
| 10004 | ლივერპული-ტოტენჰემი | 2.15 | 2.0 | 4.0 | 1.03 | 1.39 | 1.33 |
| 10005 | საუთჰემპტონი-ასტონ ვილა | 2.5 | 2.0 | 3.7 | 1.11 | 1.49 | 1.29 |
| 10006 | ბირმინგემი-მიდლსბრო | 2.3 | 2.0 | 4.3 | 1.06 | 1.49 | 1.36 |
| 10092 | დორტმუნდი-არმინია | 1.85 | 2.2 | 5.3 | 1.0 | 1.37 | 1.55 |
| 10093 | ფრაიბურგი-ლევერკუზენი | 4.5 | 2.1 | 2.15 | 1.43 | 1.45 | 1.06 |
| 10094 | ჰანოვერი-ბოხუმი | 5.0 | 2.1 | 2.0 | 1.47 | 1.42 | 1.02 |
| 10096 | ჰანზა-შტუტგარტი | 4.3 | 2.0 | 2.2 | 1.36 | 1.45 | 1.04 |
| 10098 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 2.05 | 2.0 | 5.0 | 1.01 | 1.45 | 1.42 |
| 10099 | შალკე-ბაიერნი | 2.1 | 2.0 | 5.0 | 1.02 | 1.47 | 1.42 |
| 10101 | ვერდერი-ჰერთა | 2.3 | 2.0 | 4.4 | 1.06 | 1.51 | 1.37 |
| 10102 | ვოლფსბურგი-ნიურნბერგი | 2.2 | 2.0 | 4.5 | 1.04 | 1.47 | 1.38 |
| 10103 | კაიზერსლაუტერნი-ჰამბურგი | 2.4 | 2.0 | 4.2 | 1.09 | 1.52 | 1.35 |
| 10163 | ბოლონია-ლაციო | 2.65 | 2.0 | 3.5 | 1.13 | 1.5 | 1.27 |
| 10164 | ბრეშია-ატალანტა | 2.6 | 2.0 | 3.6 | 1.13 | 1.5 | 1.28 |
| 10165 | კიევო-პარმა | 2.7 | 2.0 | 3.45 | 1.14 | 1.51 | 1.26 |
| 10166 | ინტერი-კალიარი | 1.55 | 2.5 | 6.3 | 1.0 | 1.24 | 1.78 |
| 10168 | იუვენტუსი-ლეჩე | 1.45 | 2.7 | 7.3 | 1.0 | 1.2 | 1.97 |
| 10170 | ლივორნო-ფიორენტინა | 2.8 | 2.0 | 3.3 | 1.16 | 1.51 | 1.24 |
| 10171 | მესინა-უდინეზე | 2.9 | 2.0 | 3.0 | 1.18 | 1.47 | 1.2 |
| 10172 | რომა-რეჯინა | 1.8 | 2.2 | 5.3 | 1.0 | 1.34 | 1.55 |
| 10173 | სამპდორია-პალერმო | 2.6 | 2.0 | 3.65 | 1.13 | 1.51 | 1.29 |
| 10174 | სიენა-მილანი | 5.5 | 2.3 | 1.8 | 1.62 | 1.35 | 1.0 |
| 10205 | ალბასეტე-მალაგა | 2.7 | 2.0 | 3.45 | 1.14 | 1.51 | 1.26 |
| 10206 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 2.3 | 2.0 | 4.5 | 1.06 | 1.52 | 1.38 |
| 10207 | ბარსელონა-ხეტაფე | 1.35 | 3.0 | 8.0 | 1.0 | 1.15 | 2.18 |
| 10209 | ლევანტე-რეალი | 5.6 | 2.1 | 1.85 | 1.52 | 1.39 | 1.0 |
| 10211 | მალიორკა-ვალენსია | 4.4 | 2.0 | 2.3 | 1.37 | 1.51 | 1.06 |
| 10212 | რასინგი-ბილბაო | 2.7 | 2.0 | 3.45 | 1.14 | 1.51 | 1.26 |
| 10213 | სევილია-ოსასუნა | 1.8 | 2.3 | 5.8 | 1.0 | 1.37 | 1.64 |
| 10214 | სოსიედადი-დეპორტივო | 2.8 | 2.0 | 3.3 | 1.16 | 1.51 | 1.24 |
| 10215 | ვილიარეალი-ბეტისი | 2.4 | 2.0 | 4.0 | 1.09 | 1.5 | 1.33 |
| 10216 | სარაგოსა-ნუმანსია | 1.8 | 2.2 | 5.3 | 1.0 | 1.34 | 1.55 |

| | 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | [illegible] | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11002 | კრისტალ პალასი-[illegible] | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11003 | ფულჰემი-სიტი | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11004 | ლივერპული-ტოტენჰემი | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11005 | საუთჰემპტონი-ასტონ ვილა | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11006 | ბირმინგემი-მიდლსბრო | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11092 | დორტმუნდი-არმინია | 2.0 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11093 | ფრაიბურგი-ლევერკუზენი | 6.5 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.4 | 3.6 | 20.0 | 10.0 | 2.5 |
| 11094 | ჰანოვერი-ბოხუმი | 7.0 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.2 |
| 11096 | ჰანზა-შტუტგარტი | 6.5 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.4 | 3.6 | 20.0 | 10.0 | 2.6 |
| 11098 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11099 | შალკე-ბაიერნი | 2.4 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11101 | ვერდერი-ჰერთა | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11102 | ვოლფსბურგი-ნიურნბერგი | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11103 | კაიზერსლაუტერნი-ჰამბურგი | 2.9 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11163 | ბოლონია-ლაციო | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11164 | ბრეშია-ატალანტა | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 5.0 |
| 11165 | კიევო-პარმა | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11166 | ინტერი-კალიარი | 1.6 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 5.0 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11168 | იუვენტუსი-ლეჩე | 1.5 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 5.0 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11170 | ლივორნო-ფიორენტინა | 3.5 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.1 |
| 11171 | მესინა-უდინეზე | 3.9 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 4.0 |
| 11172 | რომა-რეჯინა | 2.0 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11173 | სამპდორია-პალერმო | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 5.0 |
| 11174 | სიენა-მილანი | 7.0 | 10.0 | 20.0 | 8.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.0 |
| 11205 | ალბასეტე-მალაგა | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11206 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11207 | ბარსელონა-ხეტაფე | 1.4 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11209 | ლევანტე-რეალი | 7.5 | 10.0 | 20.0 | 8.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.1 |
| 11211 | მალიორკა-ვალენსია | 5.3 | 10.0 | 20.0 | 6.0 | 4.4 | 4.0 | 20.0 | 10.0 | 2.9 |
| 11212 | რასინგი-ბილბაო | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11213 | სევილია-ოსასუნა | 1.9 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.6 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11214 | სოსიედადი-დეპორტივო | 3.7 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.0 |
| 11215 | ვილიარეალი-ბეტისი | 2.9 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11216 | სარაგოსა-ნუმანსია | 1.9 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.6 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | ჩარლტონი-ბოლტონი | 1.7 | 1.9 |
| 13002 | კრისტალ პალასი-ნორვიჩი | 1.7 | 1.9 |
| 13003 | ფულემი-სიტი | 1.7 | 1.9 |
| 13004 | ლივერპული-ტოტენჰემი | 1.7 | 1.9 |
| 13005 | საუთჰემპტონი-ასტონ ვილა | 1.7 | 1.9 |
| 13006 | ბირმინგემი-პორტსმუთი | 1.7 | 1.9 |
| 13092 | დორტმუნდი-არმინია | 1.9 | 1.7 |
| 13093 | ფრაიბურგი-ლევერკუზენი | 2.0 | 1.6 |
| 13094 | ჰანოვერი-ბაიერნი | 1.9 | 1.7 |
| 13096 | ჰანზა-შტუტგარტი | 2.0 | 1.6 |
| 13098 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 2.0 | 1.6 |
| 13099 | შალკე-ჰამბურგი | 1.9 | 1.7 |
| 13101 | ვერდერი-ჰერტა | 2.0 | 1.6 |
| 13102 | ვოლფსბურგი-ნიურნბერგი | 2.0 | 1.6 |
| 13103 | კაიზერსლაუტერნი-ბოხუმი | 2.0 | 1.6 |
| 13163 | ბოლონია-ლაციო | 1.7 | 1.9 |
| 13164 | ბრეშა-ატალანტა | 1.7 | 1.9 |
| 13165 | კიევო-პარმა | 1.7 | 1.9 |
| 13166 | ინტერი-კალიარი | 1.7 | 1.9 |
| 13168 | იუვენტუსი-ლეჩე | 1.7 | 1.9 |
| 13170 | ლივორნო-ფიორენტინა | 1.7 | 1.9 |
| 13171 | მესინა-უდინეზე | 1.7 | 1.9 |
| 13172 | რომა-რეჯინა | 1.7 | 1.9 |
| 13173 | სამპდორია-პალერმო | 1.9 | 1.7 |
| 13174 | სიენა-მილანი | 1.9 | 1.7 |
| 13205 | ალბასეტე-მალაგა | 1.9 | 1.7 |
| 13206 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1.9 | 1.7 |
| 13207 | ბარსელონა-ხეტაფე | 1.7 | 1.9 |
| 13209 | ლევანტე-რეალი | 1.9 | 1.7 |
| 13211 | მალიორკა-ვალენსია | 2.0 | 1.6 |
| 13212 | რასინგი-ბილბაო | 1.9 | 1.7 |
| 13213 | სევილია-ოსასუნა | 1.9 | 1.7 |
| 13214 | სოსიედადი-დეპორტივო | 1.9 | 1.7 |
| 13215 | ვილიარეალი-ბეტისი | 2.0 | 1.6 |
| 13216 | სარაგოსა-ნუმანსია | 1.9 | 1.7 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12001 | ჩარლტონი-ბოლტონი | 1.7 | 1.9 |
| 12002 | კრისტალ პალასი-ნორვიჩი | 1.7 | 1.9 |
| 12003 | ფულემი-სიტი | 1.7 | 1.9 |
| 12004 | ლივერპული-ტოტენჰემი | 1.6 | 2.0 |
| 12005 | საუთჰემპტონი-ასტონ ვილა | 1.7 | 1.9 |
| 12006 | ბირმინგემი-პორტსმუთი | 1.6 | 2.0 |
| 12092 | დორტმუნდი-არმინია | 2.0 | 1.6 |
| 12093 | ფრაიბურგი-ლევერკუზენი | 2.1 | 1.55 |
| 12094 | ჰანოვერი-ბაიერნი | 2.0 | 1.6 |
| 12096 | ჰანზა-შტუტგარტი | 2.0 | 1.6 |
| 12098 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 1.9 | 1.7 |
| 12099 | შალკე-ჰამბურგი | 2.0 | 1.6 |
| 12101 | ვერდერი-ჰერტა | 2.0 | 1.6 |
| 12102 | ვოლფსბურგი-ნიურნბერგი | 2.0 | 1.6 |
| 12103 | კაიზერსლაუტერნი-ბოხუმი | 1.9 | 1.7 |
| 12163 | ბოლონია-ლაციო | 1.6 | 2.0 |
| 12164 | ბრეშა-ატალანტა | 1.7 | 1.9 |
| 12165 | კიევო-პარმა | 1.6 | 2.0 |
| 12166 | ინტერი-კალიარი | 2.0 | 1.6 |
| 12168 | იუვენტუსი-ლეჩე | 2.0 | 1.6 |
| 12170 | ლივორნო-ფიორენტინა | 1.6 | 2.0 |
| 12171 | მესინა-უდინეზე | 1.6 | 2.0 |
| 12172 | რომა-რეჯინა | 1.9 | 1.7 |
| 12173 | სამპდორია-პალერმო | 1.6 | 2.0 |
| 12174 | სიენა-მილანი | 1.6 | 2.0 |
| 12205 | ალბასეტე-მალაგა | 1.6 | 2.0 |
| 12206 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1.7 | 1.9 |
| 12207 | ბარსელონა-ხეტაფე | 2.0 | 1.6 |
| 12209 | ლევანტე-რეალი | 1.9 | 1.7 |
| 12211 | მალიორკა-ვალენსია | 1.7 | 1.9 |
| 12212 | რასინგი-ბილბაო | 1.7 | 1.9 |
| 12213 | სევილია-ოსასუნა | 1.7 | 1.9 |
| 12214 | სოსიედადი-დეპორტივო | 1.7 | 1.9 |
| 12215 | ვილიარეალი-ბეტისი | 1.9 | 1.7 |
| 12216 | სარაგოსა-ნუმანსია | 1.7 | 1.9 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შედეგი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | ჩარლტონი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 14002 | კრისტალ პალასი-ნორვიჩი | 1.7 | 2.2 |
| 14003 | ფულემი-სიტი | 1.8 | 2.0 |
| 14004 | ლივერპული-ტოტენჰემი | 1.65 | 2.15 |
| 14005 | საუთჰემპტონი-ასტონ ვილა | 1.8 | 2.0 |
| 14006 | ბირმინგემი-პორტსმუთი | 1.65 | 2.3 |
| 14092 | დორტმუნდი-არმინია | 1.3 | 2.5 |
| 14093 | ფრაიბურგი-ლევერკუზენი | 2.3 | 1.6 |
| 14094 | ჰანოვერი-ბაიერნი | 2.4 | 1.45 |
| 14096 | ჰანზა-შტუტგარტი | 2.2 | 1.7 |
| 14098 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 1.45 | 2.3 |
| 14099 | შალკე-ჰამბურგი | 1.45 | 2.3 |
| 14101 | ვერდერი-ჰერტა | 1.7 | 2.2 |
| 14102 | ვოლფსბურგი-ნიურნბერგი | 1.65 | 2.2 |
| 14103 | კაიზერსლაუტერნი-ბოხუმი | 1.7 | 2.2 |
| 14163 | ბოლონია-ლაციო | 1.8 | 2.0 |
| 14164 | ბრეშა-ატალანტა | 1.75 | 2.1 |
| 14165 | კიევო-პარმა | 1.8 | 2.0 |
| 14166 | ინტერი-კალიარი | 1.2 | 2.5 |
| 14168 | იუვენტუსი-ლეჩე | 1.08 | 2.7 |
| 14170 | ლივორნო-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 14171 | მესინა-უდინეზე | 1.9 | 1.9 |
| 14172 | რომა-რეჯინა | 1.3 | 2.45 |
| 14173 | სამპდორია-პალერმო | 1.75 | 2.1 |
| 14174 | სიენა-მილანი | 2.5 | 1.3 |
| 14205 | ალბასეტე-მალაგა | 1.8 | 2.0 |
| 14206 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1.7 | 2.2 |
| 14207 | ბარსელონა-ხეტაფე | 1.08 | 2.8 |
| 14209 | ლევანტე-რეალი | 2.4 | 1.45 |
| 14211 | მალიორკა-ვალენსია | 2.2 | 1.7 |
| 14212 | რასინგი-ბილბაო | 1.8 | 2.0 |
| 14213 | სევილია-ოსასუნა | 1.3 | 2.4 |
| 14214 | სოსიედადი-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 14215 | ვილიარეალი-ბეტისი | 1.7 | 2.2 |
| 14216 | სარაგოსა-ნუმანსია | 1.3 | 2.4 |

## ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 16001 | ჩარლტონი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 16002 | კრისტალ პალასი-ნორვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 16003 | ფულემი-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 16004 | ლივერპული-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 16005 | საუთჰემპტონი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 16006 | ბირმინგემი-პორტსმუთი | 1.85 | 1.95 |
| 16092 | დორტმუნდი-არმინია | 1.85 | 1.95 |
| 16093 | ფრაიბურგი-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 16094 | ჰანოვერი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 16096 | ჰანზა-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 16098 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 16099 | შალკე-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |
| 16101 | ვერდერი-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 16102 | ვოლფსბურგი-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 16103 | კაიზერსლაუტერნი-ბოხუმი | 1.85 | 1.95 |
| 16163 | ბოლონია-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 16164 | ბრეშა-ატალანტა | 1.85 | 1.95 |
| 16165 | კიევო-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 16166 | ინტერი-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 16168 | იუვენტუსი-ლეჩე | 1.85 | 1.95 |
| 16170 | ლივორნო-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 16171 | მესინა-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 16172 | რომა-რეჯინა | 1.85 | 1.95 |
| 16173 | სამპდორია-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 16174 | სიენა-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 16205 | ალბასეტე-მალაგა | 1.85 | 1.95 |
| 16206 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 16207 | ბარსელონა-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 16209 | ლევანტე-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 16211 | მალიორკა-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 16212 | რასინგი-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 16213 | სევილია-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 16214 | სოსიედადი-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 16215 | ვილიარეალი-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 16216 | სარაგოსა-ნუმანსია | 1.85 | 1.95 |

## ფორას ბარიერი(ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | ჩარლტონი-ბოლტონი | 1.6 | 1.9 |
| 17002 | კრისტალ პალასი-ნორვიჩი | 1.4 | 2.3 |
| 17003 | ფულემი-სიტი | 1.5 | 2.2 |
| 17004 | ლივერპული-ტოტენჰემი | 1.3 | 2.8 |
| 17005 | საუთჰემპტონი-ასტონ ვილა | 1.5 | 2.2 |
| 17006 | ბირმინგემი-პორტსმუთი | 1.35 | 2.5 |
| 17092 | დორტმუნდი-არმინია | 1.2 | 3.4 |
| 17093 | ფრაიბურგი-ლევერკუზენი | 2.6 | 1.35 |
| 17094 | ჰანოვერი-ბაიერნი | 2.9 | 1.25 |
| 17096 | ჰანზა-შტუტგარტი | 2.5 | 1.4 |
| 17098 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 1.25 | 2.9 |
| 17099 | შალკე-ჰამბურგი | 1.3 | 2.8 |
| 17101 | ვერდერი-ჰერტა | 1.4 | 2.4 |
| 17102 | ვოლფსბურგი-ნიურნბერგი | 1.35 | 2.55 |
| 17103 | კაიზერსლაუტერნი-ბოხუმი | 1.4 | 2.4 |
| 17163 | ბოლონია-ლაციო | 1.45 | 2.3 |
| 17164 | ბრეშა-ატალანტა | 1.5 | 2.2 |
| 17165 | კიევო-პარმა | 1.55 | 2.0 |
| 17166 | ინტერი-კალიარი | 1.1 | 4.7 |
| 17168 | იუვენტუსი-ლეჩე | 1.05 | 6.0 |
| 17170 | ლივორნო-ფიორენტინა | 1.55 | 2.0 |
| 17171 | მესინა-უდინეზე | 1.7 | 1.8 |
| 17172 | რომა-რეჯინა | 1.15 | 3.8 |
| 17173 | სამპდორია-პალერმო | 1.45 | 2.3 |
| 17174 | სიენა-მილანი | 3.4 | 1.2 |
| 17205 | ალბასეტე-მალაგა | 1.6 | 1.95 |
| 17206 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1.35 | 2.6 |
| 17207 | ბარსელონა-ხეტაფე | 1.03 | 6.5 |
| 17209 | ლევანტე-რეალი | 3.0 | 1.25 |
| 17211 | მალიორკა-ვალენსია | 2.3 | 1.45 |
| 17212 | რასინგი-ბილბაო | 1.55 | 2.0 |
| 17213 | სევილია-ოსასუნა | 1.15 | 4.1 |
| 17214 | სოსიედადი-დეპორტივო | 1.6 | 1.9 |
| 17215 | ვილიარეალი-ბეტისი | 1.45 | 2.3 |
| 17216 | სარაგოსა-ნუმანსია | 1.15 | 4.0 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | ჩარლტონი-ბოლტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15002 | კრისტალ პალასი-ნორვიჩი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15003 | ფულემი-სიტი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15004 | ლივერპული-ტოტენჰემი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15005 | საუთჰემპტონი-ასტონ ვილა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15006 | ბირმინგემი-პორტსმუთი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15092 | დორტმუნდი-არმინია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15093 | ფრაიბურგი-ლევერკუზენი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15094 | ჰანოვერი-ბაიერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15096 | ჰანზა-შტუტგარტი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15098 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15099 | შალკე-ჰამბურგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15101 | ვერდერი-ჰერტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15102 | ვოლფსბურგი-ნიურნბერგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15103 | კაიზერსლაუტერნი-ბოხუმი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15163 | ბოლონია-ლაციო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15164 | ბრეშა-ატალანტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15165 | კიევო-პარმა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15166 | ინტერი-კალიარი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15168 | იუვენტუსი-ლეჩე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15170 | ლივორნო-ფიორენტინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15171 | მესინა-უდინეზე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15172 | რომა-რეჯინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15173 | სამპდორია-პალერმო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15174 | სიენა-მილანი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15205 | ალბასეტე-მალაგა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15206 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15207 | ბარსელონა-ხეტაფე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15209 | ლევანტე-რეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15211 | მალიორკა-ვალენსია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15212 | რასინგი-ბილბაო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15213 | სევილია-ოსასუნა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15214 | სოსიედადი-დეპორტივო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15215 | ვილიარეალი-ბეტისი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15216 | სარაგოსა-ნუმანსია | 3.0 | 2.8 | 2.0 |



თსუ-ს თავკაცი მამუკა ტურაშვილი, კალათბურთის ფედერაციის პრეს-ატაშე ზურაბ თალაყვაძე და სტუ-ს მწვრთნელი ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი

# სტუდენტური ფიქრები
## ვისთვის კოკა-კოლა, ვისთვის პირველობა

**კვირას** წლევანდელი რეგულარული ჩემპიონატის ბოლო სტუდენტური დერბია. ტექნიკური და სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდები ერთმანეთს ბოლოსწინა ტურში ხვდებიან და სატურნირო ვითარებიდან გამომდინარე ამ მატჩის შედეგს „სტუ-ჯეოსელისთვის" უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე თსუ-სთვის.

საქმე ის გახლავთ, რომ ტექნიკოსები რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურში მდევარ „ავიამშენს" ხვდებიან და თუ თსუ-სთან ხვალ წააგებს, პირველი ადგილის შენარჩუნება საძნელო გაუხდებათ. თსუ კი მყარადაა მეოთხე ადგილზე და სამაგიეროდ ის მოტივაცია გააჩნია, რომ ვერის ბაღში მისი სპონსორი, ხანგრძლივი ვაჭრობა-გარიგებების შემდეგ შემორიგებული „კოკა-კოლას" პრეზიდენტი თემურ ჭყონია უნდა მივიდეს.

კაფე „მსოფლიო სპორტში" გამართულ პრესკონფერენციას ტექნიკოსთა მეორე მწვრთნელი ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი დაესწრო, რომელმაც განაცხადა:

„თსუ ძალიან პერსპექტიული გუნდია. მასში კარგი მომავლის მქონე ახალგაზრდებიც თამაშობენ და საკმაოდ გამოცდილნიც. ცუდია, რომ ამ გუნდს სათანადო ყურადღება არ ექცევა, თორემ მცირე თანადგომაც საკმარისი იქნებოდა წარმატების მისაღწევად. ჩვენ გასეირნებას ნამდვილად არ ველით თსუ-სთან. მატჩი საკმაოდ საინტერესო და დაძაბული უნდა გამოვიდეს".

**მამუკა ტურაშვილი**, თსუ-ს მთავარი მწვრთნელი:

„სტუ რომ ჩვენზე დაბალანსებული გუნდია, ყველას კარგად მოეხსენება. ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა ამ სეზონში დუდუ დადიანის მემორიალიც მოიგო და საქართველოს თასიც. სატურნირო თვალსაზრისით მატჩის შედეგს სტუ-სთვის უფრო პრინციპული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ჩვენც საკმარისად მოტივირებულნი ვართ. შესაძლოა, ამ მატჩს „კოკა-კოლას" პრეზიდენტი თემურ ჭყონია დაესწროს. ცხადია, გვსურს, რომ მას კარგი თამაში და, რაც მთავარია, შედეგი ვუჩვენოთ".

**ზვიად მიქაძე**, სტუ-ს კაპიტანი:

„თასის მოგების შემდეგ პირველი სერიოზული გამოცდა გველის თსუ-სთან და ვეცდებით, გავიმარჯვოთ, რადგან წარუმატებლობის შემთხვევაში პირველი ადგილის დაკავება გაგვიძნელდება. თსუ ახალგაზრდული გუნდია, მაგრამ მე უფრო გამოცდილ მოთამაშეებს გამოვარჩევდი, რომელთაც უნდა ვუფრთხილდეთ".

ირაკლი მაისურაძე: „სტუ თითქმის სულ ძლიერი და გამოცდილი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული და ვინმეს გამორჩევას აზრი არა აქვს. საფრთხეს ყველასგან ველით და თითოეულ მათგანს სათანადო ყურადღება უნდა დავუთმოთ".

**ირაკლი პერტაია**

ევროლიგა



# ეს არ იყო პანა-ცეა
## ფინალი ბერძნებმა შეავსეს

**პანათინაიკოსი 2:1 ეფესი**

**პანათინაიკოსი 84:76 ეფესი**

22:17 26:22 24:13 12:24

პანათინაიკოსი: ლაკოვიჩი (22), ცარცარისი (4), ქუთლუაი (15), ბატისტე (7), პაპანიკოლაუ; ალვერტისი (11), ფემერლინგი (7), შჩეპანოვიჩი (8), დიამანტიდისი (6), კალაიძისი (2), ბაქსტერი (2), ხაძივრეტასი

ეფესი: დომერჩანტი (17), სოლომონი (12), აბი (8), ნიკოლიჩი (2), კუქო (5); კემანი (15), პრკაჩინი (10), არსლანი (5), პეკერი (2)

**„ჩვენ** სამ მიზანს ვისახავდით ამ სეზონის დაწყების წინ: საბერძნეთის თასის მოგებას, ევროლიგის ოთხთა ფინალში გასვლას და ელადის ჩემპიონობას. პირველი ორი ბარიერი უკვე დაძლეულია, ანუ ჩვენ სწორი მიმართულებით მივდივართ" — თქვა ათენის „პანათინაიკოსის" გრძნეულმა მწვრთნელმა ჟელკო ობრადოვიჩმა „ეფესის" ძლევის შემდეგ, რამაც მას და მის გუნდს მოსკოვის ოთხთა ფინალის საგზური მოუტანა.

„პანათინაიკოსმა" მეოთხედფინალური საპლეიოფო სერიის მესამე და გადამწყვეტი მატჩი შინ მოუგო თურქულ გრანდს და სამწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ გავიდა ევროლიგის ყველასთვის საოცნებო ოთხთა ფინალში.

ამ სერიის პირველ მატჩსაც ათენმა უმასპინძლა და მაშინ „პანათინაიკოსმა" დიდი გაჭირვებით, დამატებით დროში იმარჯვა. სწორედ ის წაგება აღმოჩნდა საბედისწერო თურქული გუნდისთვის, რომელმაც მომდევნო ჯახი სტამბოლში კი მოუგო ბერძნებს, მაგრამ გადამწყვეტი მატჩის სათამაშოდ ისევ ათენში მოუწია ჩასვლა.

ჩავიდა და იქ ჯოჯოხეთიც დახვდა. „პანათინაიკოსი" არც ისეა „ეფესზე" რამით ნაკლები და როცა მას 18 ათასი ბერძენი ქომაგობს, ხომ წარმოგიდგენიათ, რამხელა უპირატესობა ენიჭება ამ გუნდს. დიახ, ათენის ოაკა-ს ოლიმპიურ დარბაზში სწორედაც რომ 18 ათასი ადამიანი მივიდა „პანას" საქომაგოდ და ეს გახლავთ ისტორიაში შესატანი მატჩი მაყურებელთა ჭარბი ოდენობის მხრივ.

ვერ ვიტყვით, სტამბოლელები მიღეთმა დაიოგუნაო, რაკი მათ დებიუტი უკეთ წარმართეს და 2 წუთის შემდეგ 9:1 დაწინაურდნენ. ეს იყო ერთადერთი ეპიზოდი ამ მატჩში, როცა სტუმრებს თავი ყინჩად ეჭირათ. ეს რვაქულიანი დეფიციტი განგაშის ზარად აღიქვეს მასპინძლებმა და რომ მისცხეს, სტამბოლელები თვალის დახამხამებაში ჩამოიტოვეს.

იაკა ლაკოვიჩმა, ათენელთა სლოვენიელმა ლიდერმა და სამქულიანების ოსტატმა, როგორც იქნა, მომართა სამიზნე და ოთხწუთიანი მონაკვეთი „პანათინაიკოსს" 13:0 მოაგებინა. ეს გამოდგა ამ მატჩის გარდამტეხი ეპიზოდი, რის შემდეგაც თამაშზე კონტროლი „პანათინაიკოსმა" დააწესა და „ეფესი" ისეთ დღეში ჩააგდო, ბოლო მეოთხედს ფაქტობრივად აზრი დაუკარგა. მესამე ათწუთეულში „პანათინაიკოსმა" სამქულიანების ფოიერვერკი მოაწყო და 9-ქულიანი უპირატესობა 20-ად აქცია — 72:52.

ბოლო მეოთხედში სტამბოლელებმა წელებზე ფეხი დაიდგეს და საფინალო სირენამდე წუთნახევრით ადრე მასპინძლებს 5 ქულით მიუახლოვდნენ, მაგრამ თამაშის გადასარჩენად დრო აღარ ეყოთ.

მაშ ასე, ოთხთა ფინალის მეოთხე მონაწილე ათენის „პანათინაიკოსია", რომელიც 6 მაისს მოსკოვში ევროლიგის ნახევარფინალში მოქმედ ჩემპიონ „მაკაბის" შეხვდება. ამავე დღეს მეორე წყვილში მასპინძელი ცსკა ბასკურ „ტაუს" დაუპირისპირდება.

**ირაკლი პერტაია**

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ეჰ, ლებრონ, ლებრონ
## კავალერია პანიკამ მოიცვა



— 14 აპრილი —

**კლივლენდი 89:95 ნიუ იორკი**

კლივლენდი: ჯეიმსი (27 ქულა, 18 მოხსნა, 7 პასი)

ნიუ იორკი: კროუფორდი (25), ტეილორი (16), მარბერი (14), სვიტნი (14)

**ფილადელფია 126:119, მაიამი**

ძირითადი დრო 104:104

ფილადელფია: აივერსონი (38 ქულა, 16 პასი, 6 მოხსნა), ჯექსონი (26), კორვერი (20), იგუდალა (19 ქულა, 10 მოხსნა), ვებერი (15 ქულა, 10 მოხსნა)

მაიამი: ვეიდი (48 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი), დ. ჯონსი (18), ჰეისლიპი (17), ონილი (13 ქულა, 12 მოხსნა)

**პორტლენდი 90:102 დალასი**

პორტლენდი: აბდურ-რაჰიმი (19 ქულა, 10 მოხსნა), პატერსონი (18)

დალასი: სტეკჰაუზი (18), ბრედლი (15)

**„კლივლენდ** კავალიერზისთვის" უცებ გაქრა ნათელი მომავლის ვარდისფერი ზმანება, ლებრონ ჯეიმსს და მისიანებს პირქუშმა აწმყომ შემოუტია. შინ „ნიუ იორკთან" დამარცხებული „კავალერია" ლამისაა, პანიკამ მოიცვას, ოთხეულისთვის მებრძოლი გუნდი რეგულარულ ჩემპიონატს აღმოსავლეთ კონფერენციაში მერვე ადგილზე ამთავრებს და ახლა ესეც საძნელო გამხდარა. შინ ვერ უგებს „ნიუიორკისთანა" ჯაბან მეტოქეს და გასვლაზე რა მოუვა?! არადა, „კლივლენდს" დარჩენილი ოთხი თამაშიდან სამი სტუმრად უწევს, აქამდე მეტოქის მოედანზე ჩატარებული 38 მატჩიდან კი 26 წააგია და საერთოდ, შინ თამაში ურჩევნია.

„კლივლენდი" ამასობაში „ნიუ ჯერსის" მხოლოდ ორი მოგებით უსწრებს და პლეი ოფისთვის მებრძოლმა ამ ორმა გუნდმა თანაბარი შედეგით თუ დაასრულა რეგულარული სეზონი, პლეი ოფში „ნიუ ჯერსი" გავა ურთიერთშეხვედრებში უკეთესი შედეგის წყალობით. „კავალიერზს" უარყოფითი მაჩვენებელი აქვს ამჟამად მეშვიდე ადგილზე მყოფ „ფილადელფიასთანაც"...

ერთი სიტყვით, კავალერისტებმა თავადვე გაიმრუდეს გზა. „ნიუ იორკთან" ვერც ლებრონ ჯეიმსმა უშველათ. ვანდერლებრონმა 17 ქულა და კარიერაში სარეკორდოდ ბევრი, 18 მოხსნა კი მოიხვეჭა, თუმცა უხეიროდ ესროდა — თამაშში 25 ტყორცნიდან მხოლოდ 7 უწია „ნიქსის" კალათს.

არადა, „კლივლენდი" ბოლო მეოთხედის დაწყებამდე 72:70 იგებდა და ჯეელებს ლაზღანდარობა რომ არ დაეწყოთ, აქვე მოათავებდნენ საქმეს. მაგრამ არხეინ კლივლენდელებს მეტოქეთა სათადარიგო თავდამსხმელი მორის ტეილორი გამოუჰარათ. ამანაც პირველივე წუთებში 5-ჯერ ჩააგდო და „ნიქსი" ათი ქულით მოსწყვიტა მასპინძლებს, რომლებიც ამ დროის მხოლოდ ბურთების კარგვით და შეტევების გაფლანგვით იყვნენ დასაქმებულნი. 77:87 ჩამორჩენილმა „კლივლენდმა" კი დარჩენილ ხუთიოდ წუთში ბევრიც ვერარაფერი მოახერხა.

„კლივლენდის" საპირისპიროდ უმძიმესი გამოცდა წარმატებით ჩააბარა „ფილადელფია სიქსერზმა". ალენ აივერსონმა და კომპანიამ „მაიამის" 48 წუთი გაუძლეს და შემდეგ, ქულუხვ ოვერტაიმში აჯობეს. არადა, „მაიამის" შაკილ ონილი დაუბრუნდა, რომელმაც კუნთის ამღვილობის გამო სამი თამაში გამოტოვა. ყმაწვილმა დუეინ ვეიდმა კი საერთოდ ზღაპრულად ითამაშა და ორწლიან კარიერაში სარეკორდოდ იხვეჭა ქულები. თუმცა ვეიდს შეეძლო „ფილადელფიის" ძირითად დროშივე დამარცხება — როცა ალენ აივერსონმა მეოთხე მეოთხედის დამთავრებამდე 11 წამით ადრე ორი საჯარიმოთი 104:104 გაათანაბრა, ამ დროის გამოყენება სწორედ ვეიდს დაევალა, მაგრამ მან იგუდალას ხელებს ზემოდან უხეიროდ ტყორცნა და მეტოქეს შანსი უბოძა. ფილადელფიელებმაც შეირგეს ეს შანსი, 114:106 დაწინაურდნენ და უმნიშვნელოვანესი გამარჯვებაც ჩაიწერეს.

**კოტე ყორშია**

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| მაიამი | 56 | 22 | 71,8 |
| დეტროიტი | 51 | 27 | 65,4 |
| ბოსტონი | 43 | 35 | 55,1 |
| ჩიკაგო | 44 | 34 | 56,4 |
| ინდიანა | 43 | 35 | 55,1 |
| ვაშინგტონი | 43 | 35 | 55,1 |
| ფილადელფია | 40 | 38 | 51,3 |
| კლივლენდი | 40 | 38 | 51,3 |
| ნიუ ჯერსი | 38 | 40 | 48,7 |
| ორლანდო | 35 | 43 | 44,9 |
| ტორონტო | 32 | 46 | 41,0 |
| ნიუ იორკი | 31 | 47 | 39,7 |
| მილუოკი | 29 | 49 | 37,2 |
| შარლოტი | 17 | 61 | 21,8 |
| ატლანტა | 12 | 66 | 15,4 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| ფინიქსი | 59 | 19 | 75,6 |
| სან ანტონიო | 58 | 21 | 73,4 |
| სიეტლი | 50 | 28 | 64,1 |
| დალასი | 55 | 24 | 69,6 |
| საკრამენტო | 48 | 30 | 61,0 |
| ჰიუსტონი | 48 | 31 | 60,8 |
| დენვერი | 47 | 31 | 60,3 |
| მემფისი | 44 | 34 | 56,4 |
| მინესოტა | 41 | 37 | 52,6 |
| კლიპერსი | 35 | 43 | 44,9 |
| ლეიკერსი | 34 | 44 | 43,6 |
| გოლდენ სტეიტი | 31 | 48 | 39,2 |
| იუტა | 25 | 53 | 32,1 |
| პორტლენდი | 25 | 53 | 32,1 |
| ნიუ ორლეანი | 18 | 60 | 23,1 |

*პირველი სამი ადგილი დივიზიონის ლიდერებს უჭირავთ*

## ჭიდაობა

# კლასიკური უქმეები

**საქართველოს** თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების ორი ევრომედლისთვის თავისი წილი ჯილდოების წამატებას დღეს-ხვალ ბერძენ-რომაელები შეეცდებიან. ბულგარული ევროპის ჩემპიონატების კვირეულის ბოლო ორი დღე სწორედ „კლასიკოსებს“ ეთმობათ და ბევგი დარჩიას შვიდეულისგანაც შედეგიან ჭიდაობას ველით.

თურმანიძის გუნდის მსგავსად, დარჩიასიც შარშანდელისგან საგრძნობლად გადახალისებულია. ოლიმპიადამოვლილთაგან საევროპო შემადგენლობაში სამი მოჭიდავეღა დარჩა, თუმც ძველ წონაში მხოლოდ მირიან გიორგაძე (+120კგ) გამოვა. მსოფლიოს ჩემპიონმა მანუჩარ კვირკველიამ და ევროპის ჩემპიონმა ბადრი ხასაიამ წლეულს წონები შეიცვალეს და ბულგარეთში თითო წონით მაღლა, 74 და 84 კილოგრამებში ცდიან ძალებს.

დანარჩენ ოლიმპიელებს ევროპაზე გამგზავრებაში ხელი ტრავმებმა და იანვარში ჩატარებულმა საქართველოს ჩემპიონატმა შეუშალა. ბულგარეთში რომ დიღმური პირველობის ოქროს მედალოსნები წავიდოდნენ, ჭიდაობის ფედერაციამ და ნაკრების თავკაცებმა ადრევე გადაწყვიტეს, თუმც იანვრის ჩემპიონებს ერთი მაინც გამოაკლდათ. ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორ რამაზ ნოზაძეს (96კგ) ტრავმა ერთ-ერთ ბოლო შეკრებაზე გაუმიზეზდა და მის ნაცვლად ბულგარულ განაცხადში კიდევ ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა, გივი მორჩილაძე ჩაჯდა.

ბოლომდე გაურკვეველი იყო მუხრან მაჭუტაძის (66კგ) ევრობედიც. ისიც შეკრებაზე დაშავდა და დარჩიამ უკვე შემცვლელზეც დაიწყო ფიქრი, თუმც საბოლოოდ მაჭუტაძე მაინც მომჯობინდა.

საქართველოს ნაკრების შედეგიანობა ევროპირველობაზე ალბათ მნიშვნელოვანწილად ფსიქოლოგიურ განწყობაზე იქნება დამოკიდებული. გიორგაძის გარდა ხომ ყველას რაღაც დამატებითი ტვირთი აწევს. კვირკველია და ხასაია ახალ წონებში პირველ დიდ ტურნირს ჭიდაობენ, მირიან ნიშნიანიძე (55კგ), დავით ბედინაძე (60კგ), მაჭუტაძე და მორჩილაძე კი შედარებით გამოუცდელები არიან.

ამ ფაქტორებზე მეტად ნაკრების თავკაცს ახალი საჭიდაო წესები ანერვიულებს.

„საქართველოს ჩემპიონატი ფილას მიერ გამოგზავნილი ახალი წესებით ჩავატარეთ — გვითხრა ბულგარეთში გამგზავრებამდე — მაგრამ მას შემდეგ საერთაშორისო ფედერაციამ კიდევ ბევრი წესი შეცვალა. სიახლეებზე, რა თქმა უნდა, ვიმუშავეთ, მაგრამ მათთან შეგუება რამდენად მოვასწარით, ეს ამ ჩემპიონატზე გამოჩნდება“.

დღეს ხალიჩაზე ნიშნიანიძე, მაჭუტაძე, ხასაია და გიორგაძე გავლენ და უკვე საღამოს ამ ოთხი წონის ყველა ჩემპიონ-პრიზიორი გაირკვევა, ხვალ კი ბედინაძის, კვირკველიასა და მორჩილაძის წონები იჭიდავებენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

| საქართველოს ნაკრები | |
|---|---|
| კაცები | |
| 55 კგ | მირიან ნიშნიანიძე |
| 60 კგ | დავით ბედინაძე |
| 66 კგ | მუხრან მაჭუტაძე |
| 74 კგ | მანუჩარ კვირკველია |
| 84 კგ | ბადრი ხასაია |
| 96 კგ | გივი მორჩილაძე |
| +120 კგ | მირიან გიორგაძე |

## ბილიარდი

# ამერიკული პული მორჩა წინ სომხური პირამიდაა

**საბილიარდო** „ზევსში“ საქართველოს თითქმის ყველა უძლიერესი მობილიარდე სამი დღით შეიკრიბა და ამერიკულ „პულში“ თბილისის ღია პირველობა გაითამაშა. ჩემპიონობისთვის მებრძოლი თექვსმეტი საუკეთესო ერთი თვის წინ დასრულებულმა საკვალიფიკაციო ეტაპმა გამოავლინა. ფინალური ეტაპი კი ნახევრად ოლიმპიური სისტემით, ორი წაგებამდე ჩატარდა.



ფინალში თბილისელები მერაბ ჩიტაური და პაატა ხმალაძე გავიდნენ. თუმც ერთმანეთთან შეხვედრა მანამდეც მოასწრეს და უფრო გამოცდილმა ჩიტაურმა 7:4 იმარჯვა. ამის შემდეგ 23 წლის ხმალაძემ ყველა მეტოქეს აჯობა, მათ შორის საბოლოოდ მესამე ადგილის დამკავებულ დავით გახოკიძეს და გუშინ ჩიტაურსაც მშვენიერი რევანში აუღო — 9:5.

უახლოესი ტურნირი თბილისში 19 აპრილს დაიწყება, ამჯერად უკვე „პირამიდაში“. რვა საუკეთესო მობილიარდე საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში მოხვდება და 27-30 აპრილს ერევანში, სომხეთისა და ირანის ნაკრებებთან ერთად სამთა ტურნირს ითამაშებს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

## ჩოგბურთი



ტატიანა გოლოვინა

# შეცდომათა კომედია

**მასტერსის სერია**
**FAMILY CIRCLE CUP**
**ჩარლსტონი. თიხნარი**
**საპრიზო 1,3 მლნ $**

**მესამე წრე**

**ლინდსი დევენპორტი** (1, აშშ) — ვიქტორია კუტუზოვა (უკრაინა) 6:3 6:1; **ელენა დემენტიევა** (2, რუსეთი) — ნურია ლიაგოსტერა ვივესი (ესპანეთი) 6:0 6:3; **ტატიანა გოლოვინი** (13, საფრანგეთი) — ვინუს უილიამსი (4, აშშ) 7:5 6:4; **ნადია პეტროვა** (7, რუსეთი) — ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) 6:3 6:3; **პატი შნიდერი** (8, შვეიცარია) — კლარა კუკალოვა (ჩეხეთი) 6:4 6:0; **კატარინა სრებოტნიკი** (სლოვენია) — აი სუგიამა (11, იაპონია) 6:1 4:6 6:1; **ნიკოლ ვაიდიშოვა** (ჩეხეთი) — შინობუ ასაგოე (14, იაპონია) 3:6 6:4 7:6 (7:2); **ჟუსტინ ენენ-არდენი** (ბელგია) — ივეტა ბენეშოვა (ჩეხეთი) 6:2 6:3

**უწლოვანი** მეტოქის რისხვამ მესამე წრეში შარშანდელ ჩემპიონ ვინუს უილიამსსაც უწია. ცივ და ქარიან ამინდში ბურთაობა სახალისო ისედაც არ იყო, ხოლო ვინუსს ჩოგანი თავიდანვე მოეცარა — პირველ გეიმში ერთბაშად სამი ორმაგი შეცდომა დაუშვა — და თამაშის სათავისოდ შებრუნება მერე ეგრეც ველარ მოახერხა. 17 წლის ტატიანა გოლოვინმა კი, ვინაც უკვე კაი დამწიფებული და დაღონიერებული გოგოა, ვინუსის ვაინაჩრობა კარგად გამოიყენა და საქმე ორ სეტზე მეტხანს არ გაუჯანჯლებია. არადა — იძახდა მერე — ზეათეულელებთან აქამდე, როგორც წესი, სამ-სამ სეტს ვთამაშობდი და ნიადაგვე ვმარცხდებოდი. მოკლედ, წინა დღეს მესამე ნომრად განთესილი ანასტასია მისკინას 15 წლის მაოტარ ნიკოლ ვაიდიშოვასი არ იყოს, ნამატჩევს ისიც ცხოვრების უმნიშვნელოვანეს გამარჯვებაზე ტკარცალებდა. ვინუსი კი ყველაფერს გადაღლილობას აბრალებდა — ერთი თვეა, ჩოგანი არ გამივდია და ახლა თავს მკვდარივით ვგრძნობო. საკუთრივ გოლოვინთან მატჩს კი „შეცდომათა კომედიად“ ნათლავდა. ისე, ვაიდიშოვა ვახსენეთ და, ამ დასტურ ფერხორციანმა და ჭკვიანმა გოგოცუნამ ტემპი არც ნამისკინევს დააგდო და მძიმე, სამსეტიან განდაგანაში მე-14 ნომრად განთესილ იაპონელ ასაგოესაც სძლია. ტურნირის შერჩენილმა ფავორიტებმა — ლინდსი დევენპორტმა, ელენა დემენტიევამ, ნადია პეტროვამა და ჟუსტინ ენენ-არდენმა კი გაუჭირვებლად გაიკაკეს. სხვათა შორის, ჭინკა ჟუსტინს გუშლამ სწორედ ამქრის პირველოსან ლინდსი დევენპორტთან [illegible] შეხვ-ქრა და, ჯერ არ ვიცი, მზად ვარ მასთან შესახვედრად. თუ არა, ასე ამბობდა ის ჩემ. [illegible] ბის შემდეგ. ლინდსიმ კი, ბარემ ახლავე ისიც გეტყვით, მეოთხედფინალში 16 წლის უკრაინელ კუტუზოვასთან სუმბუქი კეჭნაობით გააღწია.

**მასტერსის სერია**
**მონტე-კარლო. თიხნარი**
**საპრიზო 1,87 მლნ ევრო**

14 აპრილი.

**მესამე წრე**

**ხუან კარლოს ფერერო** (ესპანეთი) — მარატ საფინი (2, რუსეთი) 6:2 6:4; **რაფაელ ნადალი** (11, ესპანეთი) — ოლივიე როხუსი (ბელგია) 6:1 6:2

15 აპრილი.

**მეოთხედფინალი**

**ფერერო** — ფილიპო ვოლანდრი (იტალია) 6:2 6:3; გილერმო კორია (6, არგენტინა) — დავიდ ფერერი (ესპანეთი) 3:6 6:4 6:3

**საგუშინდლო** ბურთაობა მონაკოს პრინც რაინიერ III-ის დაკრძალვის გამო დაგვიანდა, მაგრამ ამან თავის მესამე მონტე-კარლოულ ტიტულზე მონადირე ხუან კარლოს ფერერო კიდევ უფრო ზორბად განაწყო და კორტზე ის ისეთი დაჯერებით გავიდა, იტალიელ ფილიპო ვოლანდრის საქმე 73 წუთში მოუგვარა. ეს იყო ფერეროს პირველი მეოთხედფინალი შარშანდელი ვალენსიის შემდეგ. ასპლენდიდი ჩავარდნა კი ამ წლის ოლონდელ პირველობის ჩუტყვავილასა და ტრავმასობის გამო დაემართა. თუმცა მას შემდეგ, რაც რომ მან ხუთშაბათს ასევე იოლად და სანიმუშოდ სძლია მეორე ნომრად განთესილ მარატ საფინს (და ამით მასთან საკარიერო დაპირისპირება გაათანაბრა), ვინძლო, ზედაურ მარაქაში დასაბრუნებლად საჭირო თავდაჯერებულობა და ფსიქოლოგიაც უკუაგდო. ყოველ შემთხვევაში, ვოლანდრის წინააღმდეგ ის სწორედ ამგვარად მოსპორტული და ნახევარფინალში რა იქნება, ამაზე ორშაბათს გავისაუბრებთ. ხოლო რაიცა აქ ჩოგანმა საფინიც მოიტანა, ბარემ გეტყვით, რომ ფერეროსთან მარცხი მან თავისი „სულელური შეცდომებით“ ახსნა. არადა, რა ამბავი იყო, რომ ფინალში მისი და ფედერერის შეხლას ვიხილავდით. იქნებ ფედერერისა და ფეროს ბრძოლა მაინც ვიხილოთ.

**არტემ ჩაჩანიძე**

## რაგბი

### ზე-თორმეტი

# ბელადები ნადირობას განაგრძობენ

**ზე-თორმეტის** გათამაშების წრიული რაუნდის დამთავრებამდე ჯერ კიდევ ერთი თვეა დარჩენილი, თუმცა ფავორიტები უკვე გამოიკვეთნენ. პლეი ოფში მოხვედრის ყველაზე მეტი შანსი „ვარატასს“, „ჰარიკეინსსა“ და „ჰაილენდერსს“ აქვთ. მეოთხე ადგილზე მყოფ ახალზელანდიურ „ქრუზეიდერსს“ კი ჯერ კიდევ მოუწევს ნერვიულობა — მოქმედი ჩემპიონი „ბრამბისი“ სულ რაღაც 1 ქულით ჩამორჩება. შანსები არც „ბლუზს“ დაუკარგავს. მართალია, „ქრუზეიდერსს“ 4 ქულით ჩამორჩება, მაგრამ ასეთი დეფიციტის გაბათილება წარმოუდგენელი სულაც არ გახლავთ.

თეორიული შანსი ახალზელანდიელ „ბელადებს“ ანუ ვაიკატოს „ჩიფსსაც“ შერჩენია, თუმც იმისათვის, რომ პლეი ოფში გასვლაზე ფიქრი სერიოზულად გაეგრძელებინა, გუშინ სამხრეთაფრიკული „ქეთსის“ დამარცხება იყო საჭირო, რაც მაორებს არ გასჭირვებიათ. ამ მატჩით კი მერვე ტური გაიხსნა.

შეგახსენებთ, „ბელადებმა“ წინა ტურში სამხრეთაფრიკელ „ზვიგენებს“ გამოუყვანეს წირვა და 40:5 მოუგეს. როგორც ჩანს, მაორებს „თევზეული“ მობეზრდათ და გუშინ ჰამილტონში სამხრეთაფრიკელი „კატები“ გააბეს მახეში. „ჩიფსისა“ და „ქეთსს“ შორის გამართულ მატჩს დრამატულს ვერ ვუწოდებთ. მასპინძლებმა 45:14 დაიბრიყვეს მეტოქე და პლეი ოფში მოხვედრის მცირე შანსი დაიტოვეს.

გუშინვე პრეტორიაშიც გაიმართა ერთი შეხვედრა. ადგილობრივი „ბლუზი“ ავსტრალიურ „ქუინსლენდ რედსს“ ხვდებოდა. ეს მატჩი მოგვიანებით დასრულდა და ანგარიშს სხვა დანარჩენებთან ერთად ორშაბათის „სარბიელში“ მოგაწვდით.

3 თამაში დღეს გაიმართება. ოკლენდის „ბლუზი“ აუტსაიდერ „შარქსს“ მიიღებს შინ და, წესითა და რიგით, გამარჯვება არ უნდა გაუჭირდეს. „სტორმერს“ ახალზელანდიური „ქრუზეიდერსი“ დაუპირისპირდება კეიპთაუნში. სტუმრები ფავორიტებად კი ითვლებიან, მაგრამ არც სამხრეთაფრიკელნი არიან ადვილად დასაჩაგრნი. ტურის ცენტრალური შეხლა კი ავსტრალიური დერბი გახლავთ. „ბრამბისი“, რომელსაც ტიტულის შენარჩუნება კი არა, პლეი ოფში მოხვედრაც საეჭვოდ გადაექცა, ცხრილის სათავეში მყოფ ახალი სამხრეთ უელსის „ვარატასს“ ეთამაშება და თუ ვერ მოუგო, ნახევარფინალში გასვლაზე ოცნება შეიძლება აუხდენლადაც ექცეს.

**ლადო ჟულუკიძე**

# მთელ სიგრძეზე

53 წლის გერმანელმა მორბენალმა ახიმ ჰეუკემესმა გადაწყვიტა, დასავლეთიდან აღმოსავლეთით გადაირბინოს ავსტრალია და დაიძრა კიდეც პერტიდან. გზაც 4 650 კილომეტრია, მიზანი კი ავადმყოფთათვის ფულის შეგროვებაა.



# ბეთლემში



მშვიდობა პალესტინასა და ისრაელს შორის და ბეთლემში. სწორედ იმ ცნობილ დასავლეთ ნაპირის განთქმულ გამშვებ პუნქტზე მინი-მარათონის მონაწილეებს ჩაურბენიათ. ამბავს კათოლიკე ბერები გაძღოლიან.

# მეომარი ბლატერი

ფიფას თავკაცი ზეპ ბლატერი აფრიკაში მოგზაურობს. ბურუნდიდან რუანდაში გადაინაცვლა და იქაური მეომრის სამოსიც მოირგო. ფიფა ახალ პროგრამას ამზადებს აფრიკის ღატაკი ქვეყნებისთვის.



# ვითომ ბექჰემები

ესენი ვითომ დევიდ ბექჰემი და მისი ვიქტორია არიან, სინამდვილეში კი ვინმე ენდი პარმერი და კამილა შალბოლტი გახლავან. წყვილი საკნატუნო რამეების რეკლამას მისდევს.





# გოლ-ბოლი

ბრმათა თამაში გოლ-ბოლი საუდის არაბეთში, ისლამური სოლიდარობის თამაშებზე ჩატარებულა. ეს თამაშები ჯედაში მიმდინარეობს, სურათზე კი ეგვიპტური გუნდია. მოთამაშენი ბურთის ხმით ამოიცნობენ მის მდებარეობას.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე
კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი,
გიორგი ლარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი,
ლადო ხიმერიკი, კახა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კალაურაძე
ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი,
ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი,
მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე,
თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge